მასწავლებელთა ორგანიზაციები ამერიკაში

(მიჟუევისა)

[redacted]
კარლ ბურჯანაძის
თარგმანი

თბილისი
საქართველოს მთავრობის სტამბა.
1918.

ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲪᲐᲕᲘ

I.

ამერიკის სკოლების, მასწავლებელთა ორგანიზაციების, მათი პირობებისა და მოქმედებათა საზოგადო დახასიათება.

არც ერთ ქვეყანაში მასწავლებელთა ლაშქარი ისეთი მრავალ-რიცხოვანი არ არის, როგორც ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში. არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს იმდენი სხვა და სხვა ნაირი მასწავლებელთა ორგანიზაციები, როგორც იქ. აქ თამამად შეგვიძლიან დაუმატოთ, რომ არსად არა აქვს ისეთი გავლენა იმ ორგანიზაციებს სკოლის საქმის ვითარებაზედ, მის განვითარებაზედ და აგრეთვე რომელიმე მხარის საზოგადოებრივ ცხოვრებაზედ, როგორც ამ შეერთებული შტატების მასწავლებელთა ორგანიზაციებს. მაგრამ ვიდრე ჩვენ შეუდგებოდეთ ამერიკის მასწავლებელთა ორგანიზაციების აღწერას და მის მრავალფეროვან ცხოვრების დასურათებას, საჭიროდ მიმაჩნია გავაცნო მკითხველებს პოლიტიკური წეს-წყობილება ამერიკის დიდებულ დემოკრატიისა და აგრეთვე ამერიკის სკოლის წეს-რიგის უმთავრესი საფუძველი. უამისოდ, ყველა ის, რაზედაც შემდეგში ვილაპარაკებთ ცოტა არ იყოს გაუგებარი და ბინდით მოცული იქნება იმ მასწავლებელთათვის, რომლებმაც არ იციან ამერიკის რესპუბლიკის საერთო წეს-რიგი ან მისი სკოლების ცხოვრება. უპირველეს ყოვლისა მოგახსენებთ, რომ შეერთებული შტატები წარმოადგენენ 50 შტატის ფედერაციას; თითოეულ მათგანს მინიჭებული აქვს სრული ავ-

ტონომია. ამერიკის ფედერალური კონსტიტუცია აღრიცხავს იმ სფეროებს ცხოვრებისას, რომლებიც ექვემდებარებიან ფედერალურ მთავრობის და იმის აღმასრულებლებლების უწყებას. სხვა დანარჩენი იმყოფება კერძო შტატების უფროსების უფლების ქვეშ; მხოლოდ თითოეული მათგანი სრული ავტონომიური უფლებით არის აღჭურვილი თავის სფეროში. ამ კერძო შტატის მთავრობის მიერ გამოცემულ კანონების გაუქმება არავის შეუძლიან, გარდა იმავე შტატის საკანონმდებლო კრებისა. რა გინდ არ თანაუგრძნობდეს ამ კანონებს ფედერალური მთავრობა და გინდაც ეს კანონემი მას მავნებლად მიაჩნდეს, მაინც არა აქვს ნება მას მათი იოტის ოდენათ გამოცვლისა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ან ერთმა ან მეორე შტატმა დაარღვია ფედერალურ კონსტიტუციის სული, მაშინ ფედერალურ სასამართლოს შეუძლიან სცნოს ესა თუ ის კანონი, ამა თუ იმ შტატში გამოცემული როგორც კონსტიტუციის წინააღმდეგი, რომელიც სავალდებულო არ არის არავისთვის*).

სახალხო განათლება არ ექვემდებარება ფედერალურ ძალებს; აქ სათავეში სდგას თვით ხალხი ე. ი. მცხოვრებნი თითოეულ შტატისა; ხალხის ნებას კი ასრულებს საკანონმდებლო კრება და შტატის სხვა ძალები, რომლებიც მოქმედებენ ხალხის დავალებით. აი ამიტომაც არის, რომ ამერიკაში, სადაც 50 შტატია, იმდენივე სხვა და სხვა სისტემის სასკოლო ორგანიზაციებია საბავშვო ბაღებიდან

---

*) შეერთებული შტატების წესწყობილება არც ისეთი მარტივია, როგორც ჩვენ აქა ვსწერთ, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენ აქ არ შეგვიძლიან მისი დაწვრილებით აღწერა. იხილეთ ჩვენი წიგნები „თანამედროვე ქვეყნის უმთავრესი ფედერაციები“ და „ამერიკის დიდებულ დემოკრატიის ისტორია“.

დაწყებული უნივერსიტეტებამდის. ეს აშკარად გვიჩვენებს, როგორი დეცენტრალიზაცია სუფევს სახალხო განათლებისა ამერიკაში. მთელი სახალხო სწავლა-განათლების საქმე მინდობილია ხალზზედ, ხალხი უდგას სათავეში სწავლა-აღზრდას. ეს არც ერთ სხვა სახელმწიფოში არ არის, გარდა ამერიკისა.

სკოლის დაწესებულებათა წეს-რიგის მრავალ-ფეროვნება ამერიკაში უფრო მძლავარია, ვიდრე ეს ზემოთ აღწერილობიდან სჩანს*). არც ერთ შტატში არ შეხვდებით მწყობრს და ერთფეროვან დაწესებულებათა სისტემას.

ამ შემთხვევაში განსხვავება შეიძლება იპოვოთ თვით ერთ და იმავე შტატის საზღვრებშიც კი. არის იმისთანა შტატები, სადაც დაწესებულებები, რომლებიც განაგებენ სკოლის საქმეს, ცოტათი მაინც წააგავდნენ ევროპის სხვა სახელმწიფოების სახალხო განათლების სამინისტროებს გინდ თავიანთი დანიშნულებით, გინდ წეს-რიგით. ამ შტატებს ეძლევათ კონტროლის უფლება პირველ დაწყებით, საშუალო დი თვით უმაღლეს სასწავლებლებზედაც კი, მეტადრე პარველ ორზედ. ეს უტყუარია ჯერ დასავლეთ შტატების შესახებ და აგრეთვე უფრო პროგრესიულ აღმოსავლეთის შტატების შესახებ როგორც მაგალ. მასსაჩუზეტსის, კონექტიკუტის და ნიუ-იორკის.

სხვა შტატებში კი ეს მინდობილი აქვს ადგილობრივ ძალებს, როგორც ქალაქისას, ისე სოფლისას; შტატის მთავრობა სრულიად არ ეხება სკოლის საკითხებს ან თუ ეხება —ისიც ოდნავ.

---

*) ჩვენ აქ, ამერიკის სკოლების დახასიათებაში არაფერს ვამბობთ ბევრ საპირო საკითხებზედ, რადგანაც ამას საჭიროება არ მოითხოვს. ბევრ საინტერესო დამატებებს ამოიკითხავს შკითხველი ჩვენ წიგნში ,,სკოლა და საზოგადოება ამერიკაში''.

ცალკე ქალაქებს, მეტადრე დიდრონ ქალაქებს, ეძლევათ სრული უფლება თავიანთ სკოლების ორგანიზაციის საქმეში. ის პირები, რომლებიც უდგანან ამ დიდრონ ქალაქებში სათავეში სწავლის საქმეს, სარგებლობენ მეტი უფლებით, ვიდრე თვით რუსეთის სახალხო განათლების მინისტრი. გამგისაგან, რომელიც ადგილობრივ სკოლის კომიტეტთან ერთად მოქმედებს, დამოკიდებელია არა მარტო მასწავლებლების დანიშვნა და მათი სამსახურიდან დათხოვნა, არამედ თვით სასწავლებლების პროგრამები და მათი ურთ-ერთი დამოკიდებულება. საქმე იმაშია, რომ ცალ-ცალკე შტატების სასკოლო სჯულმდებლობა ავალებს მხოლოდ საგნების რაოდენობის და აგრეთვე შესასწავლ ცოდნათა მინიმუმს. ადგილობრივ ძალებს ეძლევათ სრული უფლება მათი გაფართოებისა და ყველა სასწავლებლების პროგრამების გამდიდრებისა. მართლაც და კარგად სარგებლობენ ამ უფლებით ადგილობრივი ძალები. შეიძლება თამამად ვსთქვათ, რომ ამ შემთხვევაში დიდი მოშურნეობა იმართება დიდრონ ქალაქებსა, ერთ და იმავე შტატის შუა და აგრეთვე თვით მთელი რესპუბლიკის შორის. ამიტომაც მუდამ შეუძლიან გამოჩენილ პედაგოგს, რომელიც სწავლის საქმის სათავეშია დაყენებული, თავისი გავლენა და კვალი დასტოვოს სკოლების მთელ ორგანიზაციებზედ. აქ მას გზაში არავინ გადაეღობება, მით უმეტეს, თუ მის მიერ შემოტანილი რაიმე ახალი პედაგოგიაში, სარგებლობას მისცემს მოზარდ თაობას და თუ ამასთან ერთად საზოგადოებაც თანაუგრძნობს. ყველას, ვისაც კი შესწავლილი აქვს სახალხო განათლების ისტორია ამერიკაში, კარგად ახსოვს თუ რა დაუვიწყარი ხსოვნა დასტოვა ქ. ს.—ლუისკი ვ. ტ. ხარრისმა, რომელიც განაგებდა სასკოლო საქმეს 70—80

წლების მეორე ნახევარში. რეფორმებმა, რომელიც მოახდინა ხარრისმა, იმისთანა დიდი გავლენა იქონიეს ამერიკის სხვა დიდ ქალაქებზედაც და იმისთანა სახელი მოიმოუხვეჭეს ხარრისს, რომ 1889 წ. იგი მიიწვიეს მთელ ამერიკის სახალხო განათლების გამგედ,

ყოველ შტატში არის სახალხო განათლების გამგე; მაგრამ ამ გამგეს აქვს მნიშვნელობა მხოლოდ იმ შტატებში, სადაც უფრო განათლების საქმის დეცენტრალიზაციაა გამეფებული.

აი ამიტომ აქვს დიდი გავლენა სახალხო განათლების საქმეზედ თავის შტატში ანდრიუ დრეპერს, რომელიც უკვე კარგა ხანია განაგებს ნიუ-იორკის სახალხო განათლების საქმეს. მეტი არ იქნება ვსთქვათ, რომ ამ შტატს ზოგიერთ შემთხვევაში აქვს მთლათ დასრულებული და მწყობრი ორგანიზაციები სკოლისა ამერიკაში. იგივე შეიძლება ითქვას Hyatt-ზედ—კალიფორნიის შტატის სახალხო განათლების გამგეზედ და აგრეთვე ამერკიის სხვა პედაგოგებზედ ხანდახან სკოლის საქმის დეცენტრალიზაცია ამერიკაში იქამდის მიდის, რომ ხშირად სწავლა-განათლების მხრივ დიდრონი ქალაქები იყოფიან 2 ან სამ ნაწილად; თითოეულ ნაწილს ჰყავს თავისი სკოლის საქმის გამგე, რომელიც ბევრი უფლებით სარგებლობს.

ეს, რუსულის თვალსაზრისით გონიერის პრინციპის სისულელემდის მიყვანაა. ამერიკელები კი ამას სულ სხვანაირად უცქერიან; ისინი მზათ არიან ნახონ ამაში საერთო პრინციპის ერთ-ერთი ლოღიკური გამომდინარეობა: პირველ დაწყებით და საშუალო სკოლების გამგებლობა შეუძლიანთ მხოლოდ იმ პირთ, რომლებსაც ეს საქმე ცოტათი მაინც ეხებათ. ქალაქის ამა თუ იმ ნაწილის სკოლებში, მცხოვრებლებს აგრეთვე ნება აქვთ ადგილობრივ

სკოლის კომიტეტის შემადგენლობის არჩევისა და გამგისა, რომელიც მოქმედებს კომიტეტის კონტროლის ქვეშ და აძლევს სკოლის საქმეს ამა თუ იმ მიმართულებას. ეს, ჩვენ მიერ წამოყენებული ფაქტი ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი შეუსაბამობაა, როდესაც რუსეთის პედაგოგები სცდილობენ მოსძებნონ ამერიკაში იმისთანა დაწესებულებები, რომლებიც შეეფარდებიან რუსეთის მშობელთა წრეებს*).

ამისთანაა ამერიკელების თვალსაზრისი. ვიტყვი მხოლოდ. რომ ამერიკის სკოლის საქმის დეცენტრალიზაციის ფორმები ნელ-ნელა ჰქრებიან, მთლად კი ჯერ სულ არ გამქრალან.

ამერიკის შტატები იყოფიან საგრაფოებად (counstie), თუმცაღა ამ ადმინისტრატიულ დაყოფას არავითარი სერიოზული გავლენა არა აქვს სკოლის საქმეზედ), რადგანაც ერთის მხრივ ნამდვილ ცოცხალ ერთეულად—ქალაქია, მეორეს მხრივ—სოფლის საზოგადოება. ეს მართალია საერთო აზრით: სამხრეთის შტატებში საგრაფოებს აქვს სერიოზული მნიშვნელობა, როგორც საერთო ადმინისტრაციის შესახებ, აგრეთვე სკოლის საქმის ორგანიზაციის შესახებაც.

რუსი, რომელიც პირველად ეცნობა სკოლის საქმის ამისთანა დაყენებას ამერიკაში, ძალაუნებურად იფიქრებს, რომ იქ სწავლა-აღზრდის საქმე დამხალივით არის არეული. მაგრამ ეს ესე არ გახლავთ.

მართალია, ამერიკაში სკოლის საქმეში ერთფეროვ-

---

*) ეს დამატება ჩვენ მეტად არ მიგვაჩნია, რადგან არა ერთხელ მოუმართნიათ ჩვენთვის რუსეთის პედაგოგებს, რათა გვეჩვენებინოს მათთვის ამერიკის იმისთანა დაწესებულებები, რომლებიც კი შეეფარდებოდნენ რუსეთის მშობელთა წრეებს.

ნობა არ არის არამც თუ ერთ კავშირში, არამედ რთე შტატშიაც კი. ეს იმიტომ, რომ არც საზოგადოება, არც თვით სკოლის ძალები არ მიისწრაფიან ერთფეროვნებისაკენ.

იქ კარგათ ესმით, რომ არა მარტო კერძო შტატების სკოლის საქმეში, არამედ მთელი კავშირის სკოლის საქმეშიაც აუცილებელი საჭიროებაა ერთობა: ერთობა განათლების მიზნებში, რომელსაც იძლევიან ერთგვარი ან სხვა და სხვა გვარი სკოლები, ერთობა მეთოდებში, ან უკეთ რომ ვსთქვათ, სწავლების ზოგიერთ ძირითად ხერხში, რამდენადაც ეს ერთობა აწინდელის პედაგოგიური მეცნიერების მიერ დაკანონებულია, ერთობა მთელი განათლების სულში, მის შეთანხმებაში დიდებული დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურისა და სოციალურის წყობილების ძირითად პრინციპებთან და სხვა და სხვა.

როგორ აღწევენ ამ ერთობას, როდესაც ძალები დანაწილებულია, როდესაც ამ ძალებს მინიჭებული აქვთ სრული დამოკიდებულება? როგორ აღწევენ ამ ერთობას, როდესაც თვით ცენტრალური ორგანიზაციები, რომლებიც განაგებენ სახალხო განათლების საქმეს ამა თუ იმ შტატში, მოკლებულნი არიან ძალდატანებითი ძალის უფლებას ადგილობრივ სასწავლებლების და ამ სასწავლებლებში მოსამსახურე პირთა შესახებ?

საერთოდ შეიძლება ვსთქვათ, რომ ჩვენ მიერ ნაჩვენები ერთობა, რამდენადაც ეს შეიძლება დაეინახოთ ამერიკის სასწავლებლების სისტემაში, ფეხს იკიდებს იქ სრულიად სხვა გზით და ხერხით, რომლებსაც სრული ზნეობრივი ხასიათი აქვთ.

თუ ჩამოვთვლით ამ გზებს, უპირველეს ყოვლისა ჩვენ მიუთითებთ მკითხველებს სახალხო განათლების ფე-

ფერალურ დეპარტამენტზე ვაშინგტონში. ეს დეპარტამენტი დაარსდა ამ 50 წლის წინად იმ მიზნით, რომ კარგად ეფევნებინა თვალყური სკოლის და პედაგოგიურ საქმის განვითარებისათვის მთელ შეერთებულ შტატებში და აგრეთვე საზღვარ-გარეთაც, დაებეჭდა ანგარიშები, მონოგრაფიები და სხვა და სხვა გამოცემები, რომლებიც დეპარტამენტის ნამუშევრის შედეგია; აგრეთვე უნდა გაევრცელებინა ეს თავის მიერ გამოცემული წიგნები, როგორც ყველა პედაგოგებში, ისე მათშორისაც, ვისაც ცოტათი მაინც აინტერესებს სკოლის საქმე. ამ უკანასკნელის მიზნის მისაღწევად დეპარტამენტი უფასოდ უგზავნის თავის გამოცემებს ყველა იმათ, რომელთაც წერილობითი განცხადება შეუტანიათ ამის შესახებ.

აი ერთი იმ გზათაგანი, რომლის საშუალებით დიდებულ ამერიკის დემოკრატიის სახალხო განათლების დეპარტამენტი სცდილობს გააცნოს კავშირის ყოველი ნაწილი იმას, რაც საუკეთესო და განათლებისთვის გამოსადეგი კეთდება სკოლის საქმის დარგში რომელიმე კავშირის ნაწილში; ამით მას სწადიან მეტი ერთობა მასწავლებელთა და რესპუბლიკის სკოლის ადმინისტრატორთა შორის. ამ დეპარტამენტს სათავეში უდგა, ამერიკის გამოჩენილი პედაგოგი, ე. ი. ისეთი ადამიანი, რომელიც ზნეობრივ და პროფესიონალურ ავტორიტეტად ითვლება, როგორც მაგალ. ხარრისი. დეპარტამენტის უფროსს, არავითარი ადმინისტრატიული უფლება არა აქვს სკოლების შესახებ. ამ შემთხვევაში იგი სრულიად განირჩევა ევროპის სახელმწიფოების სახალხო განათლების მინისტრებისაგან, რომლებიც ხშირად არც კი იცნობენ პრაქტიკულად პედაგოგიურ საქმეს, მაგრამ სამაგიეროთ დიდი უფლებით სარგებლობენ არა მარტო ყოველ-ნაირ სკოლების შესახებ,

არამედ თვით სასწავლებლებში მოსამსახურეთა შესახებაც-მაშასადამე, ჩვენ უკვე ნათლად დავინახეთ ის გზა, რომ-ლის შემწეობითაც აღწევენ სახალხო განათლების საქმის ორგანიზაციების ერთობას ამერიკაში. სრული ანალოგიუ-რი გავლენა აქვს ამერიკის პრესას სკოლის საქმის დაყუ-ნებაზედ, პრესას არა მარტო კერძოს, არამედ პედაგო-გიურს. საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მთელი ქვეყნიე-რები! გამოცემების ორი მესამედი წილად ჰხვდა შერთე-ბულ შტატებს. ეს ნათლად გვიჩვენებს პრესის უძლიერეს გავლენას; თუმცა საჭიროა დაუმატოთ, რომ სხვა ჟურნა-ლებიც ხალისით უთმობენ თავიანთ ფურცლებზე ადგილს სტატიებს სწავლა-აღზრდის შესახებ. აქაც დიდი განსხვა-ვებაა სხვა კულტურულ სახელმწიფოების ჟურნალებისაგან.

დიდებულია, და ამასთანავე გავლენიანი ამერიკის პედაგოგიური პრესა. რომ ავიღოთ დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოები, ვნახავთ, რომ ყველა ამ სახელ-მწიფოების პედაგოგიური მოწინავე გამოცემების რაოდე-ნობა არც კი აღემატება მხოლოდ შერთებულ შტატების ამგვარ გამოცემებს. აქ საჭიროა აღვნიშნო, რომ ამერიკის ზოგიერთი პედაგოგიური გამოცემები იბეჭდება 30 ათას ცალამდის.

ბოლოს, ამავე ზნეობრივ ფაქტორების კატეგორია-ში, რომლებიც ხელს უწყობენ ამერიკის სკოლების ერ-თობას, შეიძლება ჩაირიცხოს ათასნაირი პედაგოგიური სა-ზოგადოებები და ასოციაციები. სწორედ ამათ აღწერას ვუძღვენით ეს ჩვენი ნაშრომი. მართლაც და ძნელი წარმო-სადგენია რიცხვი და მრავალფეროვანება ამერიკის მასწა-ვლებელთა ორგანიზაციებისა.

არიან იმისთანა ორგანიზაციები, რომლებიც აერ-თებენ ამა თუ იმ პატარა რაიონის მასწავლებლებს; არიან

იმისთანებიც, რომლებიც აკავშირებენ არა თუ იმ შტატის მასწავლებლებს, რომლებიც სცდილობენ მიიზიდონ თავიანთ წრეში სხვა რამდენიმე შტატის პედაგოგებიც სამხრეთის, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის (ეგრედ წოდებული ახალი ინგლისი), ცენტრალურები და სხვა. არიან იმისთანა ორგანიზაციებიც, რომლებიც სცდილობენ მთელი ქვეყნის პედაგოგების შეერთებას და ბოლოს არიან იმისთანა აუარებელი ორგანიზაციებიც, რომლებიც აერთებენ ამა თუ იმ სპეციალურ საგნის მასწავლებლებს და სხვა. თუ ამას მხედველობაში მივიღებთ, თუ მოვიგონებთ, რომ ამერიკაში საკითხი მოქალაქეთა თავისუფლების შესახებ გადაწყდა ამ ერთი საუკუნის წინათ, თუ მოვიგონებთ, რომ მხოლოდ ამერიკელებს შეუძლიანთ ყოველივე კოლექტივების მოწესრიგება სხვა ხალხზედ უფრო კარგად, თუ მივიღებთ აგრეთვე მხედველობაში სხვა და სხვა საზოგადოებების და ორგანიზაციების სახალხო მოქმედებას ამერიკაში, მაშინ, მხოლოდ მაშინ შეგვეძლება გაზომვა იმ გავლენის სიღრმისა სკოლის საქმის განვითარებაზედ, რომელიც შეუძლიანთ იქონიონ და აქვთ კიდეც ამერიკის მასწავლებლებს თავიანთ სხვა და სხვანაირ საზოგადოებებისა და ასოციაციების შემწეობით.

ეს ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად სასარგებლოა კარგად გაცნობა ამერიკის მასწავლებელთა სხვა და სხვა საზოგადოებების ორგანიზაციებისა. მასწავლებლების გავლენა და მათი ორგანიზაციები ამერიკაში იმითი კი არ აიხსნება, რომ ეს ორგანიზაციები მრავალ-რიცხოვანია. არა, ჩვენ მიერ წამოყენებულ მოვლენას საფუძვლად უდევს სულ სხვა ფაქტი, უფრო მეტად დამახასიათებელი ამერიკის დემოკრატიისა. როცა ჩვენ ამრიგად ვლაპარაკობთ, სახეში გვაქვს ის გარემოება, რომ ამერიკაში, უფ-

რო მეტად, ვიდრე სხვა ევროპიულ სახელმწიფოებში. მთელი ქვეყნის ბედის გადამწყვეტი, ყველა ძალების უმ-თავრესი მსაჯული არის საზოგადოების აზრი, რომელსაც მინიჭებული აქვს სრული თავისუფლება. ამ გარემოებით როგორც ქვევით დავინახავთ, მშვენივრად სარგებლობენ როგორც მასწავლებლები, ისე პედაგოგიური პრესაც. სკოლის ან სხვა რაიმე საქმის რეფორმის განსახორციელებლად ამერიკაში საჭირო არ არის თავ-გადაგლეჯილი სირბილი კანცელარიებში, სამინისტროებში, ან ქალაქის თავებთან და ქალაქის მმართველობასთან თუ საქმე ეხება ამა თუ იმ ქალაქს. არა, იქ სრულიად საკმარისია კოლექტიური ძალების შესაფერ კომპანიის მოწესრიგება პრესაში, ან ამ საკითხის დაყენება რომელიმე საზოგადო კრებაზედ.

ერთი სიტყვით, რაიმე რეფორმის მოსახდენათ საჭიროა შეიქმნას სასურველი საზოგადოებრივი აზრი.

თუ საზოგადოება,—იქნება ეს მთელი მხრის და რომელიმე მხარისა,—რაიმე საქმის გაკეთებას მოწადინებულია და ამ თავის წადილს აცხადებს შესაფერის ლონისძიებით, მაშინ არავითარ ძალას ნება არა აქვს ამის დაშლისა; პირ-იქით უნდა ხელი შეუწყოს ამ მოთხოვნილებას და აასრულოს იგი უფრო სავსებით და სწორედ. განა შესაძლებელია სხვაფრივ მოხდეს რამე იმ ქვეყანაში, სადაც ყოველი ძალა, თვით რესპუბლიკის პრეზიდენტიც ხალხის მიერ არის არჩეული? სადაც ყველა ძალების უფლების ჩამორთმევა ადვილად შეიძლება ვადის გასვლამდინ, თუ ამას საზოგადოებრივი აზრი მოითხოვს? საჭირო არ არის ახსნა, თუ როგორ ხელს უწყობს ამისთანა წესწყობილება მასწავლებლების და სხვა ორგანიზაციების განვითარებას. საქმე იმაშია, რომ საზოგადოების აზრზედ

მოქმედებით, ამ ორგანიზაციებს ფართე გავლენის თვალსარბიელი ეძლევათ, როგორც ადგილობრივ, ისე სხვა შესამჩნევ ძალებზედ, რომ ამის წარმოდგენა სხვა ქვეყნებში სრულიად შეუძლებელია; ეს გასაკვირველიც არ არის, რადგანაც სხვა ქვეყნებში ძალებს ეძლევათ უფლებები იმ წყაროებისაგან, რომლებიც სრულიად არ უწევენ ანგარიშს საზოგადოების აზრს, ან თუ უწევენ ისიც ძალიან სუსტად.

ჩვენ მიერ ნაჩვენები ფაქტები გვაიძულებენ შევეხოთ სხვა გარემოებას, რომელიც შეადგენს დამახასიათებელ თვისებას ამერიკის საზოგადოების წეს-წყობილებისას და, რომელიც შეეხება ჩვენი ნაშრომის თემას.

რომ არ შევჩერდე საზოგადოებრივ ცხოვრების სხვა მხარეებზედ, გარკვევით მოგახსენებთ, რომ ამერიკაში სრულიად შეუძლებელია ერთმანეთის ჩამოშორება, უნდობლობა ადგილობრივ სკოლის ძალებს შორის ერთის მხრივ და მასწავლებლების მეორე მხრივ. როცა ლაპარაკობენ ამერიკის სკოლის საქმეზედ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველი სკოლის კრებები, ქალაქის თუ სხვა ადგილების ხალხის არჩევნების საშუალებით ღებულობენ უფლებებს. სრულიად ბუნებრივია ის, რომ ეს ძალები მოქმედებენ ისე, როგორც ხალხის ნდობა მოითხოვს, სრულიად ბუნებრივია, როცა მასწავლებლები სავსებით უჭერენ მხარს სკოლის ძალების პოლიტიკას, რომელიც ხალხის მოწონებას და სურვილს უწევენ ანგარიშს. ყველა ეს ჰქმნის ამერიკაში სკოლის იმ ატმოსფერას, რომელიც სხვა ქვეყნებისათვის სრულიად წარმოუდგენელია, რადგანაც იქ ადგილობრივი სკოლის ძალები ისე კი არ მოქმედებენ, როგორც ამას ხალხი მოითხოვს, არამედ ისე როგორც ცენტრალური მთავრობა მოითხოვს. ასეთია სა-

ერთო დებულება საზოგადოებრივ აზრის, სკოლის ძალების და მასწავლებელთა ურთი-ერთ დამოკიდებულების საკითხისა ამერიკაში. თუმცა ანდაზა: „თუ ბავშვი არ ტირის, დედა ვერ იცნობს,“ მართალია ამერიკაშიც. რაც უნდა დაინტერესებული იყოს ხალხი სკოლით საზოგადოდ და მეტადრე მახლობელ სკოლით, მაინც სავსებით ვერ მიხვდება მასწავლებელის ჭირ-ვარამს, მის გაჭირვებას, თვით სკოლების გაჭირვებასაც კი. მცხოვრებნი ვერ გადასწყვეტენ, თუ რა მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ ადგილობრივ სკოლებს ახალ პედაგოგიურ მიმართულებაში შესაფერ რეფორმების შემწეობით. არც თვით ადგილობრივი ძალები არიან ამის შესახებ ცნობებით აღჭურვილნი. ყოველ შემთხვევაში ეს ძალები ხშირად თვით მასწავლებლებზედ ნაკლებად იცნობენ ამა თუ იმ ახალ მიმართულებას, იმ მასწავლებლებზედ, რომლებიც თავიანთ საკუთარის ზურგით ეზიდებიან სახალხო განათლების და ახალგაზრდა თაობის აღზრდის მძიმე საქმეს.

ამერიკის სკოლების ძალებს ეს კარგად ესმით და შესაფერისათაც იქცევიან. აი რისთვის ხდება, რომ ხშირად მასწავლებლები მუშაობენ მეგობრულად ადგილობრივ ძალებთან ერთად,—აქ ჩმენ ვგულისხმობთ პროფესიონალურ ორგანიზაციებში მუშაობას. ამისთანა მუშაობით მათ უნდათ მიაქციონ ყურადღება სკოლის ამა თუ იმ ნაკლს, რათა ამით სასურველ რეფორმის შემოღებას მიაღწიონ. საზოგადოების ამისთანა ყურადღება სჭირია მეტადრე მაშინ, როცა სკოლის რომელიმე რეფორმა თავის განსახორციელებლად თხოულობს საზოგადოების ფულს. მართალია ძალიან გულ-უხვნი არიან ამერიკელები სკოლის შესახებს, მაგრამ იქაც საზოგადოებრივი ძალები

უმატებენ სხვა და სხვა გადასახადებს, რაც უნდა მცხოვრებლებმა გადაიხადონ მხოლოდ მაშინ, როცა ამას აუცილებელი საჭიროება მოითხოვს. ამის მიღწევა ამერიკაში უფრო ძნელია, ვიდრე ევროპის სხვა სახელმწიფოებში, რადგანაც იქ საკმარისი კი არ არის მთავრობის დარწმუნება გადასახდების აუცილებლობაში. არა. ამაში თვით საზოგადოებრავი აზრი უნდა დარწმუნდეს. საზოგადოებრივი აზრის მსჯავრის და მისი განაჩენის ძალიან ეშინიან ყოველივე ძალას. ქვემოთ ჩვენ მოვიყვანთ მასწავლებელთა ორგანიზაციების და შტატის ან რაიონის სკოლის ძალების ერთად მუშაობის მაგალითებს. ამ ერთად მუშაობას მიზნად აქვს სკოლის რაიმე კანონის გამოცემა, თუ ეს შტატს ეხება, ან რაიმე განკარგულება, თუ ეს ქალაქს ან მეორე ადმინისტრატიულ ერთეულს ეხება. მაშინ დაგანახვებთ ამერიკის ფედერაციის ადმინისტრატიულ წესწყობილებას და მის კერძო შტატების სხვა და სხვაობას, რომლებიც აუცილებელ საჭიროებად ჰქმნიან საზოგადოების განწყობილების შექმნას.

ეხლა ჩვენთვის სრულიად საკმარისია ხაზი გაუსვათ იმ ფაქტს, რომ ამერიკაში ძალიან ხშირი მოვლენაა ერთიერთ ნდობა და ერთგული მეგობრული მუშაობა მასწავლებელთა ორგანიზაციებისა ერთის მხრივ. თუ როგორის ყურადღებით ექცევიან ამ ორგანიზაციებს ყოველნაირი ძალები სჩანს იქიდან, რომ ეს ძალები ძალიან ხშირად აძლევენ ნებას მასწავლებლებს რამდენიმე დღით სკოლების დახურვისას, ვიდრე გათავდება წლიური ყრილობა ამა თუ იმ ადგილობრივ მასწავლებელთა ორგანიზაციებისა. ხანდახან ხდება ისიც, რომ სკოლის ძალები აძლევენ ფულს იმ მასწავლებლებს, რომლებიც ამ ყრილობაში მონაწილეობას იღებენ. ხშირია აგრეთვე, რომ სკო-

ლის ძალები თავიანთ ჩარჯით ჰბეჭდავენ ამ მასწავლებელ-
თა ყრილობის ოქმებს ორი ან სამი ათას ცალამდინ,
ასე იქცევიან, მაგ. აიდეგის შტატის სკოლის ძალები.
ხშირად ხდება ისიც (შტატი ფლორიდა), რომ თვითონ
ამა თუ იმ საგრაფოს სკოლის გამგენი ურჩევენ მასწავლებ-
ლებს პროფესიონალურ ორგანიზაციების ყრილობაში
მონაწილეობის მიღებას. რომ უფრო ნათლად და ყოვე-
ლის მხრივ გავაშუქოთ რუსეთის, საფრანგეთის და გერმა-
ნიის პედაგოგებისთვის განსაკუთრებული ფაქტი, საჭი-
როა დაუმატოთ შემდეგი: მთელი მეცხრამეტე საუკუნის
და მეტადრე მისი მეორე ნახევრის განმავლობაში ამე-
რიკაში სკოლის საქმე გასაოცარის სისწრაფით გაფართოვ-
და, განვითარდა. ამერიკელები თავიანთ სკოლების შესა-
ხებ იმისთანა გულუხვობას იჩენდნენ, და იჩენენ, რომ სხვა
სახელმწიფოებისათვის ეს სრულიად წარმოუდგენელია.
ამის გამო ისეთი დიდი მოთხოვნილება იყო მასწავლებ-
ლებისა, რომ პირველ დაწყებითი და საშუალო სკოლები,
რომლებიც მასწავლებლებათ ამზადებენ მოზარდ თაობას,
ველარ ასდიოდნენ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას,
რის გამო სკოლის ძალები იძულებულნი იყვნენ დაეშვათ
სამეცადინოთ იმისთანა მასწავლებლები, რომელთაც არა-
ვითარი პროფესიონალური მომზადება არ ჰქონდათ, ან
თუ ჰქონდათ, ისიც ძალიან ნაკლებ. ეხლა საქმე უფრო
კარგად გამოკეთდა, მაგრამ ყველა შტატში კი არა, რა-
საკვირველია, ამის შემდეგ, მასწავლებელთა ორგანიზაციე-
ბის განვითარებას ისეთის აღფრთოვანებით შეხვდნენ
სკოლის ძალები; იმათ კარგათ იცოდნენ, რომ ამ ორგა-
ნიზაციების უპირველეს მიზნათ თავის წევრების საერთო
და პროფესიონალური განათლების სასურველ სიმაღლის
საფეხურზეთ დაყენებაა. აი უტყუარი მიზეზი ამ მასწავ-

ლებელთა ორგანიზაციებთან ძალების კეთილ განწყობილებისა.

მაგრამ როგორიც უნდა იყოს ჩვენ მიერ წამოყენებული გარემოება, დიდ პატივისცემის ღირსად ხდის ამერიკის დემოკრატიას და იმის ძალებს. მასწავლებელთა სხვადასხვა გვარი კურსები ეს მუდმივი მოვლენაა ამერიკაში. ძალები ყოველის ღონისძიებით სცდილობენ ამისთანა კურსების ორგანიზაციის წაქეზებას და ხშირად ხარჯის მომეტებულ ნაწილს თვითონ კისრულობენ. ხშირად ამისთანა კურსებზე სიარული ყველა მასწავლებლისათვის სავალდებულოა. ხშირია ისიც, რომ ამ კურსების ხელმძღვანელებად თვით სკოლის ძალები არიან; მაგრამ ამას იმისთანა მნიშვნელობა აქვს, რაც ევროპაში. ჩვენ ხომ უკვე ნათქვამი გვაქვს მასწავლებელთა და სკოლის ძალების ურთერთ ნდობაზედ და მეგობრულ განწყობილებაზედ. რუსი ადამიანისთვის ძნელია იმისთანა სოციალურ წესწყობილების წარმოდგენა, სადაც ყოველივე ძალა მხოლოდ იმას სცდილობს, რომ რაც შეიძლება მალე და სავსებით დაკმაყოფილდეს საზოგადო მოთხოვნილება. ამერიკიში ეს სწორედ ესეა. ვეცდებით ეს ჩვენი აზრი დავასურათოთ და ნათელ ვყოთ ყველასათვის. ნუ გადაუხვევთ სკოლის ფარგლებს. ჩემ მკითხველებს მიუთითებ იმ ფაქტებზედ. რომ ამერიკაში ყველაზედ პროგრესიულ და მოწინავე სკოლებათ კერძო სკოლები კი არ ითვლებიან, არამედ საზოგადოების სკოლები, ე. ი. ისეთი სკოლები, რომლებსაც საზოგადოება ინახავს და რომლებიც უმორჩილებიან სკოლის ძალებს. ეს მართალია ამერიკის სასწავლებლების მთელი სისტემის შესახებ, დაწყებული პირველ-დაწყებით სკოლებ-დან უნივერსიტეტებამდინ. ამერიკის საზოგადოების პირველდაწყებით სკოლებში არ არსებობს არამც თუ

რაიმე სარწმუნოებრივი შეეიწროვება, არამედ თვით საღვთო სჯულის სწავლებაც კი; არავითარ სამღვდელეობას ნება არ აქვს შეეხოს საზოგადოების პირველ-დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სკოლებს. პირველ-დაწყებითი და საზოგადოების სხვა სკოლები ემორჩილებიან მხოლოდ იმ ძალებს, რომლებსაც უფლებები ხალხისგან აქვთ მინიჭებული. სულ სხვა საქმეა კერძო პირველ-დაწყებითი სკოლები. იქ მთელ მეცადინეობას შეიძლება მისცენ ვიწრო კონფესიონალური ხასიათი, მიიღონ ბავშვები მხოლოდ ერთის სარწმუნოებისა. მისცენ მთელ მეცადინეობას წიგნობრივ, ფორმალური ხასიათი. ამისთანაა კონფესიონალური პირველ-დაწყებითი სკოლები ამერიკაში, რომლებიც არსებობენ კათოლიკეთა სამღვდელოების ზრუნვით და შემწეობით: ეს სამღვდელოება აქამდინ ვერ შერიგებია ამერიკის სახალხო სკოლის ნეიტრალურ ხასიათს. თუ გადავალთ საშუალო განათლების დარგში, ვნახავთ, რომ ხშირია იქ იმისთანა კერძო სკოლები, რომლებშიაც გამეფებულია უკვე დრო მოჭმული კლასიკური განათლება.

ბოლოს, თუ თვალს გადავავლებთ უნივერსიტეტებს, ვნახავთ, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტებმა, ე. ი. ისეთებმა, რომლებსაც კერძო შტატების მთავრობა ინახავს და რომლებიც ემორჩილებიან ამავე შტატის ძალებს, პირველებმა შეუშვეს ქალი აუდიტორიაში, პირველებმა იწამეს კლასიკური და რეალური განათლების ექვივალენტობა, პირველებმა მოაწესრიგეს სახალხო ლექციები (university extensiau) და სხვა.

კიდევ ბევრი რამის თქმა შე ძლება ამერიკის სკოლის და ამ სკოლის ატმოსფერის საერთო დასახასიათებლად, მაგრამ მგონია, რომ რაც აქამდინ ითქვა სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ მოვამზადოთ ჩვენი მკითხველები

შემდეგის თავების შინაარსისთვის, სადაც ჩვენ შეგვეძლება დავამყაროთ ჩვენი გადმოცემა იმ ფაქტებზედ, რომლებსაც ახლო დამოკიდებულება აქვთ ამერიკის მასწავლებელთა ორგანზაციების საკითხებთან.

II.

კერძო შტატების მასწავლებელთა საერთო ორგანიზაციები.

თუმცა შეერთებული შტატები ჯერ ნორჩი ქვეყანაა, მაგრამ სამაგიეროდ მასწავლებელთა ორგანიზაციები დიდი ხანია, რაც დაარსდა. მასწავლებელთა პირველი ორგანიზაციები დაარსდა 1845 წელს. ამ ორგანიზაციებს მიზნად ჰქონდათ შტატის ყველა მასწავლებლის შეერთება. ეს იყო მასწავლებელთა ასოციაციები მასსაჩუზეტის და როდაილენდის შტატებში, რომლებიც ეკუთვნიან ყველაზედ პროგრესიულ შტატებს ეგრეთ წოდებულ ახალ ინგლისისას (ჩრდილოეთ აღმოსავლეთი ტერიტორია შეერთებულ შტატების მიერ დაჭერილი). შემდეგში, მასწავლებელთა ორგანიზაციები დაარსდა ნიუ-იორკის შტატში (1846 წ.) კონნეკტიკუტში (1847) და სხ. ამ ჟამად ამერიკაში არ არის შტატი, სადაც კი დაარსებული არ იყოს მასწავლებელთა შემაკავშირებელი ორგანიზაციები. ამ ორგანიზაციებს სხვა-და-სხვა სახელები ჰქვიანთ, მაგ. North Carolina Teachers Ascembly, West Virplnia Education Association და სხვა.

ამ ასოციაციის მიზნებიც სულ სხვა და სხვანაირია. შტატ კემტუკის მასწავლებელთა ასოციაცია თავის თავს მასწავლებელთა „პარლამენტათ“ აღიარებს; აქ მასწავ-

ლებლებს თავისუფლათ შეუძლიათ თავიანთ ჭირ-ვარამ-ზედ, გაჭირვებაზედ ლაპარაკი და იმ ღონისძიებებზედ, რომლითაც ამ გაჭირვებას უნდა ებრძოლონ. ამ ასოციაციებს აქვთ განსაკუთრებული ფონდი თავიანთ გაჭირვებულ წრეების დასახმარებლად. იგი იღებს თავის წრეში როგორც იმათ, რომლებიც საწევრო ფულს იხდიან, ისე იმათ, რომლებიც ამ ფულს არ იხდიან; მხოლოდ ამ უკანასკნელებს არავითარი ადგილის დაჭერა არ შეუძლიანთ ასოციაციაში, რაც სრულიათ ბუნებრივია.

მერილენდის შტატის მასწავლებელთა ასოციაცია ბევრ ყურადღებას აქცევს სახალხო სკოლებში საგნების სწავლების დაყენების სისტემატიურ გამოკვლევას. ამისთვის ცხრა კომისიაა არჩეული; ყოველ წლივ ეს კომისიები წარადგენენ ხოლმე თავიანთ მეცადინეობის წერილობითი ოქმს.

შტატ ნია-ხემპშირის ასოციაცია ყოველ წლიურ თავის ყრილობაზედ იმუშავებს ეგრედ წოდებულ „დეკლარაციას“, რომელშიაც ნათლად სჩანს მათი შეხედულებები სწავლა-აღზრდის ძირითად პრობლემებზედ. იგი იცვლება პედაგოგიურ კითხვების ტერიტორიულად შესწავლის ნაყოფების და სკოლაში პრაქტიკულად მუშაობის დასკვნების მიხედვით.

აქ ჩვენ ცოტა გზას გადაუხვევთ და ვიტყვით, რომ ამერიკაში არ არის საშუალო და პირველ-დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა დაყოფა. როგორც ესენი, ისე ისინი ერთნაირად იღებენ ასოციაციაში მონაწილეობას და ხშირად ერთად მსჯელობენ სკოლის სხვა-და-სხვა საკითხებზედ.

უნდა მოგახსენოთ, რომ ამერიკის პირველ-დაწყებით სკოლის მასწავლებლებს გზა ხსნილი აქვთ საშუალო სას-

ავლებლებში სასწავლებლად. რაღგანაც სკოლაში რაღ-
ენიმე წლის მუშაობის შემდეგ, ნიჭიერ და ენერგიულ
მასწავლებლებს თამამად შეუძლიანთ უნივერსიტეტში
შესვლა სწავლის მისაღებათ. ზოგიერთ შემთხვევაში საჭი-
როც არ არის სკოლის თავის დანებება უნივერსიტეტში
შესვლისთვის. თვითონ უნივერსიტეტები ხელს უწყობენ
მასწავლებლებს შაბათ საღამოობით ლექციების გამართ-
ვით*). დიპლომის მისაღებათ აუცილებელი საჭიროება არ
არის სტუდენტათ ჩაწერა და ლექციების მოსმენა. დი-
პლომის მიღება შეიძლება შინ სისტემატიურის მეცადი-
ნეობით უნივერსიტეტის კომისიის კონტროლის შემოწმე-
ბით. ყველა ამ საინტერესო საკითხებს, სამწუხაროდ, ჩვენ
მხოლოდ ხერელეთ ვეხებით აქ. ყოველ შემთხვევაში, ამ
მოკლე შენიშვნების შემდეგ არაფერი არ უნდა იყოს გა-
საკვირველი ჩვენი მკითხველებისთვის, თუ მოვახსენებ,
რომ 17 ივნისს 1909 წ. მიღებულ მასწავლებელთა ასო-
ციაციის წესდებაში ნათქვამია: დასავლეთ ვირგინიის
მასწავლებელთა ასოციაციაში ხუთი სექციაა: პირველ-და-
წყებითი განათლებისა, საშუალო განათლებისა, პედაგო-
გიურის განათლებისა, ქალაქის სკოლების, ადმინისტრა-
ციის საკითხებისა და კერძო საგრაფოების სასკოლო და-
წესებულებათა ადმინისტრაციის საკითხები.

თუ როგორი განწყობილებაა მასწავლებლების და
მშობლების შორის ამერიკაში გვიჩვენებს შემდეგი ფაქტი:
შტატ უტას მასწავლებელთა ასოციაციის ყრილობაზედ
მუდამ არის მშობელთა სექციაც, სადაც მშობლებს

*) აქ საჭიროა აღვნიშნო, რომ ამერიკაში შაბათობით მეცა-
ღინეობა არ არის, არც პირველ-დაწყებით, არც საშუალო სკოლებ-
ში და არც უნივერსიტეტში. აი რისთვის მოწესრიგდა სპეციალური
მეცადინეობა მასწავლებელთათვის შაბათობით.

შეუძლიანთ განიხილონ სკოლის კითხვები თავიანთ მშობლურის თვალსაზრისით. თუმცა ღა ამერიკაში ამისთანა სექცია მხოლოდ ერთ შტატშია ჯერჯერობით. ჩვენ უკვე ჩამოვთვალეთ დასავლეთ ვირგინიის მასწავლებელთა ასოციაციის სექციები. ამა თუ იმ შტატის მასწავლებელთა ორგანიზაციები იყოფიან სექციებათ, სექციების სახელები და მათი რაოდენება ერთნაირი არ არის ყველა შტატში. არიან იმისთანა ასოციაციები, სადაც სექციების რიცხვი ოცს აღემატება. ეს დამოკიდებულია ასოციაციის წევრთა რიცხვისა და მის ენერგიულ მოქმედებისაგან. ხდება ხან-და-ხან, რომ ამა თუ იმ შტატის მასწავლებელთა ასოციაციაში სექციათა რიცხვი მოსალოდნელზედ ნაკლებია, ეს გარემოება იხსნება იმით, რომ ამავე შტატში მეტ ენერგიას იჩენენ სხვა სპეციალური მასწავლებელთა ორგანიზაციები. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ორგანიზაციები, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ამა თუ იმ საგნის მასწავლებლები, ამა თუ იმ შტატის კერძო ნაწილისა, არსებობენ და ვითარდებიან იმისთანა მიზეზების გამო, რომლებიც ჩვენთვის სრულიად გაუგებარია. საქმე იმაშია, რომ კერძო შტატების მასწავლებელთა ყრილობები ხანდახან ისეთი მრავალრიცხოვანია, რომ მთელ ქალაქში ვერსად მოიპოება დროებითი თავშესაფარი ყრილობის ყველა წევრებისათვის. ეს, რასაკვირველია, ხელს უწყობს თემის ორგანიზაციების განვითარებას. მეტი არ იქნება შევნიშნოთ, რომ ქალაქი, სადაც ყრილობა იმართება, ძალიან კარგათ უხვდება ასოციაციის წევრებს. ყრილობის კერძო კომისია სცდილობს მოაწყოს ექსკურსიები, სეირნობები და სხვა. ზოგიერთა შტატებში ყრილობების შესახებ სრულიად თავისუფლად შეუძლიანთ რომელიმე სკოლაში გაკვეთილებზედ დასწრება, გაცნობა

ამა თუ იმ ქალაქის სკოლისა და სხვა ძალებისა ამ ორგანიზაციებთან. ამერიკაში ყრილობისთვის წინდაწინვე ემზადებიან. ყრილობის პროგრამა უკვე დიდი ხნის წინად არის შემუშავებული. როცა კი ყრილობა გაიხსნება, ყველაფერი ისე მიმდინარეობს, როგორც ეს პროგრამაში არის აღნიშნული და მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ დრო ტყუილად არ დაჰკარგონ რაიმე ცნობის მისაღებად ყრილობის შესახებ. ძალიან ხშირად, მასწავლებელთა ასოციაციის ყრილობის დროს, იმავე შტატში იმართება მეცნიერული და სხვა კულტურულ საზოგადოებათა ყრილობები. პროგრამას ერთმანეთის თანხმობით ადგენენ და ყრილობაში მონაწილეობის მიღება ყველასათვის უფრო მეტად ნაყოფიერი და საინტერესო ხდება.

თუ კარგად დავაკვირდებით მასწავლებელთა ასოციაციებს, შევამჩნევთ განსხვავებას კერძო შტატების შორის.

მართლაც და არის იმისთანა შტატები (როდაილენდი, კონნენქტიკუტი) სადაც შტატის მასწავლებელთა მომეტებული ნაწილი (80%) მონაწილეობას იღებს თავისივე შტატის მასწავლებელთა ასოციაციაში; ამასთან ერთად არის იმისთანა შტატები, სადაც მასწავლებელთა ასოციაციაში ეწერება მასწავლებელთა უმცირესობა. ყრილობების დროს ეს ასოციაციები ნიშნავენ მომეტებულად შობის უქმეებში.

ზოგიერთ შტატში ყრილობა იმართება ერთ და იმავე ქალაქში; ზოგში კი ყრილობის ადგილი ყოველ წლივ იცვლება. რაც შეეხება საწევრო გადასახადს, ეს ყველასთვის ერთნაირია; მომეტებულ შემთხვევაში თვით წესდებით გადაწყვეტილია ერთი დოლარი.

ფინანსიური მხარე სხვა და სხვა შტატების მასწავ-

ლებელთა ორგანიზაციებისა სხვა და სხვანაირია, ასოციაციების თითქმის ნახევარი თავის ხარჯით სცემს ჟურნალებს, რომლებიც ძალიან შინაარსიანიც არიან.

ყველა ასოციაციას ჰყავს დაქირავებული მდივანი: თუ მდივანს ძალიან ბევრი სამუშაო აქვს, მაშინ ასოციაცია უხვად აჯილდოვებს მას. მაგალითებრ: კალიფორნიის შტატის მასწავლებელთა ასოციაციის მდივანი მთელ თავის დროს ასოციაციის საქმეებს ანდომებს და იღებს წლიურად 2,400 დოლარს (ჩვენებურად ხუთი ათას მან.).

როგორ იზიდავენ ეს ასოციაციები წევრებს? ერთმა ამერიკელმა პედაგოგმა, რომელსაც ეს საკითხი ძალიან აინტერესებდა გამართა ანკეტა და აი რა პასუხები მიიღო:

„ჩვენ ვამცნევთ ყველა მასწავლებლებს ჩვენს არსებობაზედ ცირკულიარების და ბიულეტენების გაგზავნით". „ჩვენ ვაცხადებთ გაზეთებში" „ჩვენც ვიზიდავთ მასწავლებლებს იმით, რომ ვადგენთ ყრილობის საინტერესო პროგრამებს". „ყოველივე ყრილობის წინ ჩვენ ვუგზავნით ყველა მასწავლებლებს პატარა საწევრო ბარათებს". „ჩვენი ასოციაციის მდივანი დაიარება ყოველნაირ კრებაზედ. მასწავლებელთა კურსებზე და ყველას ჩკენ ასოციაციის სასარგებლოდ ელაპარაკება". „ჩვენ ვპირდებით მასწავლებლებს, რომ ყრილობა ძალიან ცოცხლად,საინტერესოდ ჩაივლის". „ჩვენ მუდამ ვბეჭდავთ ჩვენი ყრილობის ნაშრომს". „ჩვენ პირადად ვმოქმედობთ მასწავლებლებზედ და მოუწოდებთ მათ პროფესიონალურ სოლიდარობისაკენ". ყველაზედ საინტერესო შემდეგი პასუხია: „ქალაქებში და საგრაფოებში განათლების გამგენი დაჟინებით ვურჩევთ მასწავლებლებს ჩაეწერონ ასოციაციის წევრებათ და დაესწრნენ მის მიერ გამართულ ყრილობებს".

მართლაც და გასაკვირველია ყველა ეს. მოდი და ნუ გაოცდები ამ ღონის ძიებათა მრავალფეროვანობით. რომელსაც ხმარობენ ასოციაციები ახალ „წევრების მისაზიდათ; ან განა გასაკვირველი არ არის ის დახმარება. რომელსაც უჩენენ სკოლის უფროსები ასოციაციებს? ჩვენ აქ საჭიროდ არ მიგვაჩნია გავაცნოთ მკითხველებს მოხსენების ხასიათი, რადგანაც ისინი ძალიან მრავალფეროვანი არიან და წააგვანან ჩვენი ყრილობების მოხსენებებს. ზოგი მათგანი საერთო თემებს ეხება, ზოგი ვიწრო სოციალურს. მსურველნი ორიავეს მოსმენისა ბევრია. ამ შემთხვევაში ამერიკის ყრილობები არ განირჩევიან რუსეთის პედაგოგების ანალოგიურ ყრილობებისაგან. როგორც რუსეთში, ისე იქაც ამა თუ იმ შტატის ყრილობაზედ მიიწვევენ ხოლმე უცხო პედაგოგებს, ე, ი. იმისთანებს, რომლებიც იმავე შტატის მასწავლებლებათ არ ითვლებიან. ესენი არიან გამოჩენილი პედაგოგები. უმთავრეს მომხსენებელ პირებათ კი თვით ადგილობრივი პედაგოგები არიან, ყველაზე მძიმე საქმე იმათ ჰხვდებათ ხოლმე წილად. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ამერიკაშიაც, როგორც რუსეთში, ამ ყრილობებს მომეტებულად ქალები ესწრებიან; მაგრამ ამის და მიუხედავად იმათ არც პრეზიდიუმებში ირჩევენ, არც რეფერატორებათ და სხვა. ეს წილად ჰხვდა ისევ მამაკაცებს.

დასასრულ ნებას მივცემ ჩემს თავს დავუბრუნდე კერძო შტატების მასწავლებელთა ასოციაციების მიზნების დახასიათებას და ვნახოთ როგორ ჰსაზღვრავენ ამ მიზნებს თვით ასოციაციის წესდებები ან ის პირები, რომლებიც ამ ასოციაციებს ხელმძღვანელობენ. ჩვენ აქ ვსარგებლობთ ახალ ანკეტით, პენსილვანიის შტატის პედაგოგის მიერ მოხდენილით. ამ ანკეტიდან სჩანს, რომ

მერილენდის შტატის მასწავლებელთა ასოციაციას თავის მიზნად დასახული აქვს „შეერთება შტატის პედაგოგიურის ძალებისა". ნიუ-იორკის მასწავლებელთა ასოციაცია სცდილობს მისცეს მიმართულება შტატის სასკოლო საქმის პროგრესიულ მოძრაობას. ვაშინგტონის მასწავლებელთა ასოციაციას სწყურიან ერთობის და ჰარმონიის დამყარება პედაგოგიურ საქმეში. შემდეგში ვხვდებით ფრაზებს: „ასოციაცია სცდილობს გააფართოვოს მასწავლებელთა ჰორიზონტი", „ხელი შეუწყოს სკოლის საქმის პროგრესს" და სხვა. ახალ მექსიკის შტატის მასწავლებელთა ასოციაცია შემდეგს გვეუბნება: „ყრილობებში მონაწილეობის მიღება, ეს მასწავლებლის ერთ-ერთ პროფეიონალურ მოვალეობას უნდა შეადგენდეს. ამრიგად ისინი ამდიდრებენ თავიანთ ცოდნას, ემატებათ აღფრთოვანება თავიანთ საქმისადმი... რასაკვირველია, ჭაღარა მასწავლებელი ისევ ჭაღარათ დარჩება ყრილობაში მონაწილეობის მიღების შემდეგაც, მაგრამ მისი სწავლების ხერხი და მეთოდები კი შესამჩნევად გაახალგაზდავდებიან.

III.

კერძო სკოლების და ქალაქის მასწავლებელთა ორგანიზაციები. ამერიკის სოციალური სკოლის და მისი ბედაგოგების პროგრესიული ხასიათი.

წინა თავში ჩვენ გავაცანით მკითხველები მასწავლებელთა ორგანიზაციებს, რომლებსაც მიზნათ აქვთ ამა თუ იმ შტატის ყველა მასწავლებელთა შეკავშირება. თუმცა ეს შტატები ხშირად ისეთი დიდრონები აროიან, იმდენი მასწავლებლები ჰყავთ, რომ იმ მასწავლებელთა სა-

ზოგადოების გარდა, რომლებიც აკავშირებენ მთელი შტა-ტის მასწავლებლებს, ხშირად შეხვდებით იმისთანა საზო-გადოებებსაც, რომლებიც აკავშირებენ თვით რაიონის მასწავლებლებსაც კი. ჩვენ ვიცით მაგალითებრ ერთი ასოციაცია, რომელიც აერთებს ჩრდილოეთ-აღმოსავლე-თის შტატის ილლინოის მასწავლებლებს (უმთავრესი ქა-ლაქი ჩიკაგო). აქ გასაკვირველი არა არის-რა. ეს შტატი მხოლოდ $3^1/_2$ ჯერ პატარაა საფრანგეთზედ და $5^1/_2$ ჯერ დიდი ბელგიაზედ! სრულიად ადვილი გასაგებია ის, რომ ამ შტატის მასწავლებლები დიდი ხარჯის გამო ერიდე-ბიან სხვა შტატის ყრილობებზედ დასწრებას და ესწრე-ბიან თავიანთ ორგანიზაციის მიერ გამართულ ყრილობებს.

ჩვენ უკვე ნათქვამი გვაქვს, რომ შტატები, ადმინი-სტრატიულად იყოფიან საგრაფოებად. ამიტომაც არიან მასწავლებელთა იმისთანა ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთ მოქმედებას ავრცელებენ მხოლოდ ამ საგრაფოს მასწავლებლებზედ; ამისთანა ორგანიზაციები კი შედარე-ბით ნაკლებია. ამასთან, საჭიროა შევნიშნოთ, რომ კერძო საგრაფოების ღირს შესანიშნავი ქალაქები სწავლა-აღზრ-დის საქმეში წარმოადგენენ სრულიად დამოუკიდებელ ერთეულს; ამიტომაც ამა თუ იმ საგრაფოს სკოლის გამ-გეს საქმე აქვთ იმისთანა სკოლებთან, სადაც სწავლობენ სოფლის მცხოვრებთა შვილები. სოფლის მასწავლებ-ლებს კი იმდენი პროფესიონალური მომზადება არა აქვთ. ამიტომაც არის, რომ საგრაფოების სკოლების გამგენი მოქმედებენ სოფლის მასწავლებლებზედ და ძალას ატანენ მათ ჩაეწერნენ მასწავლებელთა ორგანიზაციებში. მასწავ-ლებელთა საზაფხულო კურსებითაც ხელმძღვანელობენ თვით საგრაფოების გამგენი. ამ გავლენას ამერიკაში სრუ-ლიად სხვა აზრი და ხასიათი აქვს. შტატის ყველა მოქალაქეს

და თვით მასწავლებლებს კარგათ ესმით, რომ სასკოლო ადმინსტრაციის სათავეში მდგომ პირთა ამისთანა მოქმედებას საფუძვლად უდევს ზრუნვა სკოლის გაუმჯობესობაზედ; ისიც კარგათ ესმით, რომ ამკურსების ხელმძღვანელნი თავიანთ დანიშნულების უმწვერვალეს სიმაღლეზედ სდგანან, და ბოლოს, ისიც კარგად ვიცით, რომ ყოველთვის გამგის სასკოლო პოლიტიკა ემყარება მცხოვრებთა თანაგრძნობას და ნდობას. არ არსებობს ამერიკაში საგრაფოების მასწავლებელთა იმისთანა ორგანიზაციები, რომლებიც კი მოქმედებდნენ სრულიად თავისუფლად, დამოუკიდებლად.

ისინი მოქმედობენ ადგილობრივ სკოლების ძალების ზედამხედველობის ქვეშ. ჩვენ, როგორც ზემოთ გვქონდა ნათქვამი, ამერიკაში მასწავლებლები და ადგილობრივი სკოლების ძალები ორ მტრულ, მოწინააღმდეგე ბანაკს კი არ წარმოადგენენ, არამედ სცდილობენ მეტად შეკავშირდნენ, რათა მეგობრულის მუშაობით ხელი შეუწყონ სახალხო განათლების აღორძინებას და წინმსვლელობას.

ამერიკაში სოცოცხლის ძარღვის ცემა იმდენად უფრო მძლავრია და ძლიერი, რამდენადაც ქალაქი დიდია. ეს, რასაკვირველია, სკოლის საქმესაც ემჩნევა. ამერიკის ყოველივე დიდ ქალაქში დაარსებულია მასწავლებელთა რამდენიმე ორგანიზაცია.

ქალაქის ორგანიზაციებს, როგორც შტატებისას მრავალ ფეროვანი ხასიათი აქვს. ხან და ხან ეს ორგანიზაციები აკავშირებენ მხოლოდ ერთგვარ სასწავლებლების მასწავლებლებს, ხან და ხან კი სხვა და სხვა გვარის სასწავლებლის მასწავლებლებს, რომლებიც ერთსა და იმავე საგანს ასწავლიან.. არიან იმისთანა ორგანიზაციებიც, რომლებიც სცდილობენ მთელი ქალაქის პედა-

ვოგების შეკავშირებას. დიდრონ ქალაქებში ამ სამთავე სახის ორგანიზაციებს შეხვდებით, უფრო პატარებში კი ერთს ამათგანს.

დახასიათება ქალაქის მასწავლებელთა ორგანიზაციებისა ცოტა არ იყოს ძნელია მისი მრავალფეროვანობის გამო, ამისთვის საჭირო მასალის მოგროვებაც გასაჭირია. ვიტყვით მხოლოთ, რომ ამერიკის დიდრონ ქალაქებში ხშირად შეხვდებით სასწავლებლების დირექტორების საზოგადოებას, საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა ასოციაციას, პირველ-დაწყებით სკოლების მასწავლებლების საზოგადოებას, საბავშვო ბაღის ქალთა მასწავლებლების საზოგადოებას და მასწავლებელ ქალთა საზოგადოებას. შემდეგ შეხვდებით სპეციალურ საგნის მასწავლებლების ორგანიზაციას (ანგარიშისა, ფიზიკისა, ახალ ენებისა და სხვა). მასწავლებელი ქალები, რომლებიც აარსებენ თავიანთ საზოგადოებას, დიდ მონაწილეობას იღებენ სხვა ორგანიზაციებშიც.

ზემოთაც მოგახსენეთ და ეხლაც ვიმეორებ, რომ რამდენადაც დიდია ამერიკის ქალაქი, იმდენად უფრო მეტი ორგანიზაციებია იქ.

მაგალითებრ, ამერიკის ქალაქ ბოსტონში, რომელსაც ამერიკის ათინას ეძახიან, მასწავლებელთა 25 ორგანიზაციაა. მათი ჩამოთვლა აქ სრულიათ მეტია. აღსანიშნავია მხოლოდ ის ფაქტი, რომ ამ 25 ორგანიზაციიდან ერთ ერთ ორგანიზაციის წევრთა რიცხვი უდრის 2000. რუსეთის ორთავე სატახტო ქალაქში ერთად არც ამდენი ორგანიზაციაა და არც ამდენი წევრი. ბოსტონის მასწავლებელთა ორგანიზაციებზედ ცნობები ჩვენ ამოვსწერეთ მისი სკოლის კომიტეტის წლიურ ანგარიშიდან, სადაც სხვათა შორის აღნიშნულია პედაგოგიურ სტატიების სია, ჩამოთ-

ვლილია სახელმძღვანელოები და პედაგოგიური წიგნები. ამ ცნობების გამოქვეყნებით ბოსტონის სასკოლო კომიტეტმა ნათლად დაგვანახვა მასწავლებელთა მუშაობა, მისი ნაყოფი და მუყაითობა თავიანთ საქმისადმი. ვერც ერთ სხვა სახელმწიფოში ამ გვარ მოვლენას ვერ შეხვდებით, გარდა ინგლისისა. რაც შეეხება რუსეთს, მგონი არც ერთი დიდი ქალაქი არ ბეჭდავს წლიურ ანგარიშებს პირველ დაწყებით სკოლების შესახებ და თუ ბეჭდავენ, როგორც მაგ. პეტროგრადის მასწავლებელთა კომისია, კი არ აქვეყნებენ, არამედ მალავენ მას ისე, რომ მისი ან დანახვა ან ამოღება გასაჭირია. უმთავრესი ის არის, რომ ამ ანგარიშიდან სრულიად არა სჩანს მუყაითი და კეთილი განწყობილება კომისიისა ადგილობრივ მასწავლებელთა ორგანიზაციებთან, არც მათი ლიტერატურულ-პედაგოგიურ მოქმედებასთან, ეს მხოლოდ ამერიკაშია, სხვაგან არსად. რუსეთში ამას კიდეც დასცინიან.

სინამ ამ თავს გავათავებდე, საჭიროდ მიმაჩნია მივაქციო ჩვენი მკითხველების ყურადღება კიდევ ერთ გარემოებას, რადგანაც იგი ფრიად დამახასიათებელია ამერიკის სკოლის ცხოვრებისა და მისი წესრიგის და რაც სრულიად ეწინააღმდეგება იმას, რასაც ხედავს შინ რუსი ადამიანი

ბოსტონის სკოლის ოფიციალურ ანგარიშში ჩვენ შეეხვდებით ცნობებს მასწავლებელთა ორგანიზაციების მოქმედების შესახებ. ეს შემთხვევითი არ არის, ამერიკაში ორგანიზაციებში მონაწილეობას იღებენ მომეტებულად საზოგადოების სკოლების მასწავლებლები; კერძო სასწავლებლების მასწავლებლები ამას გულ გრილად უცქერიან და ერიდებიან.

ამერიკაში, თავის პროგრესიულობით, თავისი მის-

წრაფებით პედაგოგიურ ახალ მიმართულებისაკენ და სურვილით სკოლის განახლებისა შესამჩნევი არიან არა კერძო სკოლები, არამედ საზოგადოების სკოლები. ამ სკოლების პედაგოგები სათავეში უდგანან ამერიკის მასწავლებლობას. ნუ დავივიწყებთ, რომ მოთავენი შემთხვევითი ადამიანები კი არ არიან, არამედ ყველაზედ ნიჭიერნი, ცნობით და ცოდნით აღჭურვილნი.

ძალიან ხშირია, რომ სკოლის გამგენი სარგებლობენ სრულის თავისუფლებით სკოლის საქმის ხეირიანად დაყენებაში. სასურველ რეფორმების განსახორციელებლად საჭიროა მხოლოდ გამგემ დაარწმუნოს მცხოვრებნი მის აუცილებლობაში და ნაყოფიერობაში, რომ ფული წყალივით წამოვიდეს. როგორც კი რომელიმე პედაგოგიურ ჟურნალში დიდ ლაპარაკს და კამათს გამოიწვევს რომელიმე ახალი პედაგოგიური აზრი, მაშინვე ენერგიული პედაგოგები ამ ახალს თავიანთ სკოლაში სცდიან. თუ შედეგი ამ ცდისა ნაყოფიერი გიმოდგა, მაშინ მისი განხორციელება ყველა სკოლაში ძნელი არ არის, რადგანაც ყველა მასწავლებელი თვალ გაფაციცებით ელის რაიმე ახალს პედაგოგიკაში. ეს სწრაფად ხდება, მიუხედავად სასწავლო საქმის დეცენტრალიზაციისა ამერიკაში.

ამერიკის საზოგადოების სკოლების დევიზია ემსახუროს ხალხის მოთხოვნილებას. დევიზი ცხოვრებაში სრულიად გულწრფელად და სისტემატიურად გაჰყავთ ეს დევიზი ამერიკის საზოგადოებრივ ცხოვრებას აძლევს იმისთანა სოცოცხლეს, იმისთანა ენერგიას, იმისთანა ძალას, რაც ამერიკის კერძო სასწავლებლებისათვის წარმოუდგენელია, რადგანაც ისინი ემსახურებიან მხოლოდ მცხოვრებთა ერთი ჯგუფის ინტერესებს, რომლებიც სცხოვრობენ ძველის იდეალებით. ერთის სიტყვით. ამერიკის

დიდებულ დემოკრატიას არ ეშინიან არავითარ ახალ იდეისა არც პედაგოგიკაში, არც ეკონომიკაში და არც ეგრეთ წოდებულ სოციალურ კითხვებში. იგი სიხარულით, სრულის სულით და გულით ეგებება ყველა ახალ მიმდინარეობას და სცდილობს თავის დაწესებულებაში შეიტანოს ის, რაც ამ იდეებში საღი, გონივრული და პრაქტიკულად განსახორციელებელია. ყველა ეს კეთდება მხოლოდ საზოგადოების სკოლების და იქ მომუშავე მასწავლებლების მიერ. ამიტომაც არის, რომ ამერიკის საზოგადოებრივი ძალების და მეტადრე სკოლის ძალების ანგარიშები და ოფიციალური გამოცემები წარმოადგენენ სწავლების დაუშრეტელ წყაროს და აღფრთოვანებაში მოჰყავთ ძველი ევროპის პედაგოგები.

ამისთანა აზრები ტრიალებენ თავში, როდესაც სცდილობ მიაწოდო საზოგადოებას მასწავლებელთა ორგანიზაციების მოქმედების მიმოხილვა, როდესაც სცდილობ ჩაუკვირდე ამერიკის მასწავლებელთა ნაყოფიერ და დიად მუშაობას.

IV.

საკითხი ქალაქის მასწავლებელთა ორგანიზაციების გაერთიანებისა და მათი შეერთებულად მოქმედების შესახებ.

წინა თავებში ჩვენ გავაცანით მკითხველები მასწავლებელთა იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც მიზნათ აქვთ ერთისა და იმავე შტატის, ერთისა და იმავე საგრაფოს ან ქალაქის მასწავლებელთა შეკავშირება. ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ მასწავლებელთა რამდენი კერძო საზოგადოებებია ერთ ქალაქშიც კი, მაგ. ბოსტონში, როგორ წრეილმან-

დება ამის გამო პედაგოგების ძალა, როგორი ცალმხრივი და შეზღუდული არის ხან და ხან ამ მასწავლებელთა კერძო ორგანიზაციების მიზნები. მართლაც და, ზოგი ორგანიზაცია შესდგება მხოლოდ საშუალო სკოლის მასწავლებლებისაგან, ზოგიც საბავშვო ბაღების მასწავლებელ ქალებისაგან და სხვა. დასასრულ, არის აუარებელი რიცხვი იმისთანა ორგანიზაციებისა, რომლებიც აერთებენ ამა თუ იმ საგნის მასწავლებელ ქალებს თუ კაცებს: ეს ორგანიზაციები არსებობენ ერთმანეთის დამოუკიდებლად.

მასწავლებელთა ორგანიზაციების ამისთანა სპეციალიზაციას თავისი უპირატესობა აქვს: წევრების მოხსენებებს ეძლევა პრაქტიკული ხასიათი.

საქმის ამისთანა მდგომარეობას აგრეთვე დიდი ნაკლულევანობა აქვს, რაც ყველასთვის თვალსაჩინოა, რისთვისაც ჩვენ მის გამორკვევას არ შეუდგებით.

ასეა თუ ისე, ამ კითხვასთან ერთად იბადება კითხვა იმ ხერხებზედ, რომელნიც საჭიროა კერძო ქალაქების კავშირების აყვავებისათვის, კერძო შტატების და თვით მთელი მხარის მასწავლებელთა ორგანიზაციების გაუმჯობესობისათვის.

ქალაქებში ამ საკითხს ისეთი მწვავე ხასიათი არა აქვს, რადგანაც იქ ყოველთვის, როდესაც კი ამას საჭიროება მოითხოვს, შეიძლება ქალაქის კერძო მასწავლებელთა ორგანიზაციების დელეგატების კრების შეყრა რომელიმე საჭირო საკითხის გადასაწყვეტად. ავიღოთ თუნდა იმისთანა საკითხი, როგორც ქალ-ვაჟთა ერთად სწავლებაა საშუალო სასწავლებლებში. ნუ იფიქრებთ, რომ ეს საკითხი ჩვენ სრულიად უმიზეზოთ მოვიყვანეთ. უკანასკნელ 15, 20 წლებში ამერიკის არა ერთ ქალაქს შემოუღია ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების სისტემა.

როცა სასკოლო კომიტეტი ამისთანა რეფორმას ახდენდა, იგი ჰკრებავდა ცნობებს ამ საკითხის შესახებ სხვა შტატებში და სცდილობდა გაეგო, თუ როგორის ყურადღებით უცქერიან ამ საკითხს საშუალო სკოლების მასწავლებლები. რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად კრების მოწვევისათვის საჭირო არ არის პოლიციის ბოქაულის ან მისი თანაშემწის ნებართვა; საკმარისია მხოლოდ შეატყობინონ მასწავლებლებს, კულტურულ დაწესებულებათ, რომლებსაც რაიმე დამოკიდებულება აქვთ გადასაწყვეტ საკითხთან.

არიან ამერიკაში იმისთანა დიდრონი ქალაქები, სადაც ყველა ადგილობრივ მასწავლებელთა ორგანიზაციების ფედერაცია არსებობს. ამისთანა ქალაქებია, მაგალითად: ნიუ-ორკი და ფილადელფია.

არის ისიც, რომ ამა თუ იმ ქალაქში არ არსებობს პირდაპირი ფორმალური ფედერაცია მასწავლებელთა ორგანიზაციებისა: იმის მაგივრად, ქალაქის ყველა მასწავლებელთა ორგანიზაცია ირჩევს ეგრედ წოდებულ ქალაქის „პედაგოგიურ კრებას“, ამ კრებაზედ ყველა ორგანიზაციას თავის წარმომადგენელი ჰყავს ორი, ან სამი კაცი, წევრთა რაოდენობის მიხედვით. კრებას არავითარი უფლება არა აქვს კერძო მასწავლებელთა ორგანიზაციებზედ: მისი ავტორიტეტი ზნეობრივია, ეს მას არ უშლის იქონიოს ზოგიერთ შემთხვევაში რეალური გავლენა სკოლის საქმის და მიმართულების განვითარებაზედ. ეს კრება მეტადრე მაშინ არის სასარგებლო, როცა უნდათ აამოძრავონ მთელი მასწავლებლობა, როცა იმას თხოულობს რომელიმე დიდმნიშვნელოვანი პედაგოგიური საკითხი.

რუსი ადამიანი ძნელად მიხვდება იმ ფაქტს, რომ ზოგიერთა ამისთანა პედაგოგიურ კრებებში მონაწილეო-

ბას იღებს ერთი ან ორი წარმომადგენელი ადგილობრივ სასკოლო კომიტეტისა, რომ ამ წარმომადგენელებს მიიღებენ მხოლოდ მაშინ, როცა ამას მასწავლებელთა ორგანიზაციები მოისურვებენ. ეს უფრო ადვილი გასაგები იქნება, თუ მოვიგონებთ, რომ ამერიკაში მასწავლებლების და სკოლის ძალების ყველაზედ მკაცრი და ფხიზელი მთავრობა- საზოგადოებრივი აზრია. საზოგადოება არ მოითმენს თავის დღეში, თუ ნახავს, რომ მასწავლებლები ჯეროვანის მუყაითობით და ყურადღებით არ ეჭკვევიან თავიანთ საქმეს. არც იმას მოითმენდა, თუ ნახავდა, რომ სკოლის ძალები მასწავლებლებისაგან თხოულობენ იმას, რაც სწავლა-აღრზდისათვის საჭირო არ არის.

ან როგორ შეიძლება იფიქროს ადამიანმა რაიმე უნდობლობაზედ მასწავლებლის და სკოლის ძალების შუა, როდესაც ეს ადგილობრივი სკოლების ძალები სრულიად თავისუფალნი არიან სკოლის საქმის ორგანიზაციაში, პროგრამის შემუშავება-დამტკიცებაში და მასწავლებლების არჩევა დათხოვნაში. ეს უკანასკნელი უფლება სხვა სახელმწიფოში ცოტა არ იყოს სახიფათო არის მასწავლებლისათვის: ამერიკაშიაც იგი მოკლებული არ არის უხერხულობას. აქ, ამ შემთხვევაში მასწავლებლებს შველის საზოგადოებრივი აზრი და ძლიერი, ყველაფრის მცოდნე პრესა, რომლის წინაშე თრთის და კანკალებს სასკოლო კომიტეტი. ამიტომაც, სასკოლო კომიტეტი ამ უფლებით, მასწავლებლების დათხოვნის შესახებ, სარგებლობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ამის დამტკიცება შეიძლება აშკარა საბუთებით და დამტკიცებულ ფაქტებით. ეს საკითხი იმდენად დიდმნიშვნელოვანია, რომ შემდეგში კიდევაც შევეხებით მას, როდესაც შეუდგებით მასწავლებელთა ორგანიზაციების მოქმედების დახასიათებას.

V.

მასწავლებელთა ორგანიზაციების შეკავშირება კერძო შტატებში და სხვა სერხები მათი მოქმედების შეთანხმებისა

რამდენად ადვილია მასწავლებელთა ორგანიზაციების შეთანხმებული მოქმედება ქალაქებში, იმდენად ძნელია იგი შტატებში. ნუ დაგვავიწყდება, რომ ამერიკას ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, შეერთებულ შტატებს, უჭირავს იმდენი ადგილი, რამდენი მთელ ევროპას და რუსეთს. გზის ფასის სიძვირის გამო, ერთ და იგივე შტატის მასწავლებლები სცდილობენ მონახონ შეკავშირების სხვა გზა, გარდა შტატის საერთო მასწავლებელთა ორგანიზაციისა, რომელიც იშვიათად აერთებს შტატის მასწავლებელთა უმრავლესობას. ამას გარდა ვიცით, რომ ყოველ შტატში არის მასწავლებელთა სხვა და სხვა ორგანიზაციები: მასწავლებლებს აერთებს ან საგანი, ან სასწავლებელის ტიპი, ან ადგილი.

მასწავლებლებს აერთებს არა მარტო აკადემიური მისწრაფება მეგობრულ მუშაობისკენ, არამედ სხვა უფრო ცხოველი, უფრო პრაქტიკული მოსაზრებანი.

ჩვენ უკვე ნათქვამი გვაქვს, რომ ზოგიერთ შტატში მთავრობა, შტატის სკოლის საკანონმდებელო მოწესრიგებისათვის არაფერს იზოგავს და სერიოზული გავლენაც აქვს სკოლის საქმის დაყენებაზედ და მის განვითარებაზედ. საქმის ამისთანა მდგომარეობის გამო შტატის მასწავლებლებისათვის საჭიროა იქონიონ იმისთანა ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლება სრულის უფლებით და ავტორიტეტით იმოქმედოს მასწავლებლების სახელით.

ამ ხმას გატაცებით უნდა უგდებდნენ ყურს შტატის სჯულმდებელნი, როდესაც საქმე ეხება სჯულმდებლობითი გადაწყვეტას რომელიმე საკითხისას, რომელიც სკოლისთვის ფრიად საჭიროა. ერთის სიტყვით, ცხოვრება თხოულობდა და თხოულობს კავშირის დამყარებას მასწავლებელთა ორგანიზაციების შუა.

შტატის ყველა პედაგოგიურ ორგანიზაციების ფედერატიული ასოციაციის საუკეთესო ნიმუშია შტატი ოგაიო, სადაც 1904 წლიდან მოქმედებს ეგრედ წოდებული შეერთებული პედაგოგიური ასოციაცია ოგაიოს შტატისა. შტატის პედაგოგიური საზოგადოებები მიიღებიან ხოლმე ფედერაციაში სურვილისამებრ; ფედერაციაში ჩარიცხვის შემდეგ მათ ეძლევათ უფლება ერთი წარმომადგენლის არჩევისა საერთო აღმასრულებელ კომიტეტში. ყოველწლივ შობის უქმეებში ფედერაცია მართავს ყრილობას ქალაქ კოლუმბუსში: საერთო კრებებზედ თავმჯდომარეობენ რიგ-რიგისად მასწავლებელთა ორგანიზაციების თავმჯდომარეები, რომლებმაც ეს ორგანიზაცია შეჰქმნეს. ყოველი წევრი, რომელიც ყრილობაში მონაწილეობას იღებს, იხდის ფედერაციის სასარგებლოთ 25 ცენტს (50 კაპეიკამდის). ამ საწევრო ფულით არსებობს ფედერაცია.

ეს ფედერაცია შეჰქმნა ოგაიოს შტატის მასწავლებელთა ოცმა ორგანიზაციამ. ეს ორგანიზაციები მრავალფეროვანია. ამიტომაც, გასაკვირალი არ არის, თუ ფედერაციის აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლიან მისცეს მრავალი ცნობა შტატის საკანონმდებელო ყრილობის წევრებს სკოლის ყველა საკითხებზედ. მისი გავლენა და ავტორიტეტი გასაოცარია.

ჩვენ მიერ აღწერილი ფედერაცია, როგორც ზემოთ

მოგახსენეთ, დაარსდა 1904 წელში. სამი წლის შემდეგ ამისთანავე ფედერაცია დაარსდა ნიუ-იორკის შტატში, თუმცა ზოგიერთ მიზეზების გამო იმას იმდენი წევრი და საზოგადოებები არა ჰყავს, რამდენიც ოგაიოს შტატის ფედერაციას.

ბევრ შტატში ვერ შეხვდებით მასწავლებელთა ორგანიზაციების ნამდვილ ფედერაციას, აქ ჩვენ ვგულისხმობთ ეგრედ წოდებულ პედაგოგიურ კრებებს, ანუ შეერთებულ მუდმივ პედაგოგიურ კომისიებს. თუ რა არის ეს პედაგოგიური კრებები, ამას შემდეგის მაგალითებიდან დავინახავთ. პედაგოგიური კრება მასაჩუზესტის შტატისა, როგორც ამას თვითონვე სწერს, სცდილობს ყველა პედაგოგიურ ორგანიზაციების და შტატის პედაგოგიურ ძალების შეერთებას, მათი ერთად მუშაობის უზრუნველყოფილობას სკოლის საკითხების და სხვა და სხვა პროექტების განსჯას, რაც შეერთებულია შტატის პედაგოგიურ საქმის გაუმჯობესებასთან. ამას გარდა ეს პედაგოგიური კრება ხელს უწყობს სკოლის სჯულმდებლობის გამოცვლას; ძველი წარმოსადგენია იმაზე მრავალფეროვანი შემადგენლობა პედაგოგიურ კრებისა, როგორიც მასაჩუზესტის შტატისაა.

მასაჩუზესტის პედაგოგიური კრება სცდილობს შეაკავშიროს მეგობრულ მუშაობისათვის ის, რაც სხვა ქვეყნებში ნავთი და ცეცხლია:— სახალხო განათლების მეთაური და შტატის მასწავლებელთა ორგანიზაციების მეთაური. ეხლა დაუბრუნდეთ პედაგოგიურ კრებების შემადგენლობას. იგი შესდგება შტატის საერთო მასწავლებლების ასოციაციის 24 დელეგატისაგან, ხუთ-ხუთი წარმომადგენლისაგან: 1) კოლლედჟის ასოციაციისაგან, რომელიც იმყო-

ფება ახალი ინგლისის შტატებში *). 2) მასაჩუზესტის დაწყებით სკოლების მასწავლებლების საზოგადოებისაგან. 3) შტატის ნაწილების სხვა და სხვა სკოლების გამგეთა ასოციაციისაგან; თითოსაგან სამ-სამი წარმომადგენელი: 1) შტატის საშუალო სკოლების მასწავლებელთა საზოგადოებისაგან, 2) ბოსტონის (შტ. მასაჩუზესტის უმთავრესი ქალაქია) მასწავლებლების დირექტორთა ასოციაციისაგან, 3) ბოსტონის მასწავლებლელთა საზოგადოებისაგან, 4) პროფესორების და ხარვადის უნივერსიტეტის მასწავლებელთა საზოგადოებისაგან.

ეს მაგალითი აშკარად გვიმტკიცებს მეცნიერულ მუშაობის გასაოცარ მაგალითს ამერიკაში ყოველნაირ მასწავლებლებისას. არსად სხვა ქვეყანაში ამისთანა მაგალითს ვერ შეხვდება ადამიანი. შეერთებული შტატები ჩვენთვის მისაბაძი მაგალითია. საშიშია მხოლოდ ის, რომ ვაი თუ რიგორც ჩვენში, ისე ევროპის სხვა სახელმწიფოებში ისე მალე არ გამოიცვალოს საზოგადოებრივი ატმოსფერა, რომ შექმნა მაღალ მნიშვნელოვან და საყურადღებო პედაგოგიურ ორგანიზაციებისა დაკანონდეს, რათა აშორდეს მას სახელი პრაქტიკულ პოლიტიკისა.

დაუბრუნდეთ კიდევ ამ პედაგოგიურ კრებებს. კრების წესდებას მხედველობაში აქვს წარმომადგენლობა ახალის ან ჯერ ჩაუწერელის მასწავლებელთა ორგანიზაციისა და წევრების რაოდენობა განსაზღვრული აქვს; წევრი ასს არ უნდა აღემატებოდეს.

ამგვარ „პედაგოგიურ კრებებს“ შეეხვდებით სხვა შტატებშიაც. თუ მის წესრიგის შესწავლას მოვინდომებთ, აშკარად დაინახავთ ყველგან თავის განსაკუთრებას.

---

*) მასასაჩუზესტი, კონნექტიკუტი, როდაილენდი, ვერმონტი, ნიუ-ხეპშირი და მენი.

მოყვანილ მაგალითებით ერთხელ კიდევ დავანახვეთ მკითხველებს, თუ როგორი თავისებურია ამერიკის მასწავლებელთა ორგანიზაციების მოქმედება, რამდენ რამეს ასწავლის იგი ადამიანს და რამდენ სიამოვნებას გვიღვიძებს გულში ამერიკის მასწავლებელთა მრავალფეროვანი და თავისუფალი მოქმედება.

რა მიზანი აქვს ამ პედაგოგიურ კრებებს, შეგვეკითხება ბევრი მკითხველი. ეს მიზანი შემდეგში გამოიხატება: მისცენ მიმართულება შტატის სასკოლო დაწესებულებების მოქმედებას, ხელი შეუწყონ პედაგოგიურ პრობლემების სისტემატიურ გამოკვლევას. როგორც ვხედავთ, ამ პედაგოგიურ კრებების მიზნები ფრიად მნიშვნელოვანი და პასუხსაგები. თუ ამერიკის პედაგოგებს ცოტათი მაინც შეუძლიანთ ამ მიზნების განხორციელება, მაშინ მათ სრული უფლება აქვთ იამაყონ თავიანთ მუშაობის ნაყოფით. ქვემოდ ჩვენ დავინახავთ, რომ ამერიკის მასწავლებელთა ორგანიზაციებს შესძლებიათ არა მარტო ამა თუ იმ მიზნის დასახვა, არამედ ამ მიზნების ფაქტიური განხორციელებაც კი.

VI.

ნაციონალური პედაგოგიური ასოციაცია და მასწავლებელთა სხვა ორგანიზაციები ამერიკაში.

წინა თავებში ჩვენ გავაცანით მკითხველები მასწავლებელთა იმ ორგანიზაციებს, რომლებიც მოქმედებენ კერძო შტატებში და ქალაქებში. ჩვენ დავანახვეთ ისიც, თუ როგორ სცდილობენ ამ ორგანიზაციების მჭიდრო ფედერაციებათ გარდაქცევას დასახულ მიზნის მისაღწევად.

ამერიკა არც იმისთანა ორგანიზაციებს არის მოკლებული, რომლებიც სცდილობენ რამდენიმე შტატის ან მთელი ამერიკის კავშირის მასწავლებლების შეერთებას. თუმცა გასაკვირველია, მაგრამ მოგახსენებთ, რომ სწორედ ამგვარი ორგანიზაციები დაარსდა უფრო ადრე, ვიდრე შტატის მასწავლებელთა ორგანიზაციები. ის იყო 1830 წლის 19 22 აგვისტოს, როდესაც ბოსტონში მოხდა პირველი ყრილობა 11 შტატის მასწავლებლებისა. ეს ყრილობა მოახდინა ახლად დაარსებულმა საზოგადოებამ American Institute of Instruction-მა. ამ ყრილობას ხელმძღვანელობდა ამერიკის გამოჩენილი პედაგოგი გორას მანნი, რომლის ნაშრომებმა შეჰქმნეს შემდეგში საზოგადოებრივი სკოლების სამაგალითო სისტემა მასსაჩუზესტის შტატში.

ზემო მოხსენებულმა „ინსტიტუტმა“ მიზნად დაისახა „სასარგებლო ცოდნის გავრცელება აღზრდის დარგში“. იმ დღიდან ამ დღემდის იგი ამ მიზანს ემსახურება. მოხსენებებს, რომლებსაც კითხულობენ „ინსტიტუტის“ ყრილობაზედ, დიდი მნიშვნელობა აქვს ამერიკის პედაგოგიურ იდეების ისტორიისათვის, რასაც ამტკიცებენ ისინი, ვინც სწავლობდა ამერიკის სკოლის ისტორიას. თავდაპირველად კარგა ხანი „ინსტიტუტი“ ყოველ წლივ იკრიბებოდა ბოსტონში, შემდეგ ყრილობა მოახდინა სხვა ჩრდილო-ეთ-აღმოსავლეთის შტატებშიაც, ოთხჯერ ინსტიტუტი შეიკრიბა ნიუ-იორკში. სამი მაგალითი იყო, როცა იგი კანადაში შეიკრიბა. ყველა ეს ნათლად გვიჩვენებს, თუ რა მნიშვნელობა ჰქონია ამ „ინსტიტუტს“ შეერთებულ შტატების გარეშეც.

„ინსტიტუტის“ უმთავრეს მიზანს შეადგენდა ყველა პედაგოგების, პროფესორების შეერთება, რასაც იმან თა-

ვიდანვე მიაღწია, თითქმის ასი წლის წინად (1830 წელს), ამის შემდეგ თითქმის ყველა შტატში (40-დან 22-ში) დაარსდა მასწავლებელთა ორგანიზაციები. საყურადღებოა ის ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 1857 წელში ფილადელფიაში და რომელსაც ერქვა მასწავლებელთა ნაციონალური ასოციაცია. ამ წლიდან ყოველ წლივ ეს ასოციაცია მართავდა ყრილობებს. სწორედ ამ დროს მოხდა ის ომი, რომელმაც ძირიან-ფესვიანად გამოსცვალა შეერთებულ შტატების პოლიტიკური შენობა. როგორც კი დასრულდა ომი, ამერიკაში (1865 წ.) დაარსდა ერთგვარი პედაგოგიური საზოგადოება, ეგრედ წოდებული „ასოციაცია ქალაქების და საგრაფოების სახალხო განათლების გამგეთა“. შემდეგ წელიწადს, თუ არა ვსცდები, დაარსდა კიდევ ურთი მასწავლებელთა ნაციონალური ორგანიზაცია- მასწავლებლების მომმზადებელ სასწავლებლის ასოციაცია.

ყველა ამ ასოციაციას დიდი გავლენა ჰქონდა. ყველაზე დიდი სახელი და ავტორიტეტი კი მოიხვეჭა მასწავლებელთა ნაციონალურმა ასოციაციამ. ამის გამო სხვა ასოციაციებმა გადასწყვიტეს შესულიყვნენ ამ ასოციაციაში სექციების სახელით. ეს ასეც მოხდა. ამ დღიდან მასწავლებელთა ნაციონალურმა ასოციაციამ არ გამოიცვალა სახელი. იგი იწერებოდა ნაციონალურ პედაგოგიურ ასოციაციად. ამ სახელით იგი აქამდის არსებობს და მოქმედებს.

30 წლებში ამ ასოციაციის წევრთა რაოდენობამ ძალიან იმატა; იმან მიიზიდა თავის წრეში აუარებელი მასწავლებლობა. ამ ჟამად ამ ასოციაციის სექციის რაოდენობა უდრის ოცს.

ასოციაცია თავის ყოველ წლიურ ყრილობებს მარ-

თავს ამერიკის სხვა და სხვა თვალსაჩინო ქალაქებში, რადგანაც ამ ყრილობებს ესწრება რამდენიმე ათი ათასობით წევრი. ქვეყნიერობაზედ ამისთანა ყრილობა არსად ხდება. ამ ბოლო დროს ნაციონალურ ასოციაციის ყრილობასთან ერთად იმართება აგრეთვე ყრილობა ამერიკის უმთავრეს პედაგოგიურ საზოგადოებებისა.

ქალაქი, სადაც განზრახულია ყრილობის მოხდენა, წინდაწინვე ემზადება დასახვედრად; სპეციალური კომისია იმუშავებს წინადვე არამც თუ მარტო კერძო მეცადინეობის და სექციების კრებების გეგმას, არამედ სხვა და სხვა ექსკურსიების და გასართობების გეგმასაც კი. რკინის გზები და სასტუმროები ყრილობაში მონაწილეთ ფასებს უკლებენ, რაც ყველას წინდაწინვე ეცნობა ხოლმე. ამერიკის პედაგოგიურ ასოციაციის ყრილობა ეს შესანიშნავი ფაქტია, და ამიტომაც ყველა გაზეთები აღნიშნავენ ამას.

ასოციაციის ნაშრომი ოთხი ან ხუთი თვის შემდეგ გამოდის. თითო ტომში ათასი გვერდია.

მოხსენების ბეჭდის გარდა, ასოციაცია ხანდახან ბეჭდავს სკოლების სხვა და სხვა პრაქტიკულის საკითხების სპეციალურ მონოგრაფიებს. ეს მონოგრაფიები ნაყოფია სპეციალურ კომისიების მეცადინეობისა, რომლებსაც კომისიამ დაავალა ამა თუ იმ საკითხის შესახებ ცნობების შეკრება, მათი განხილვა და საკუთარის მოხსენების წარდგენა. რომ დავანახოთ მკითხველებს, რა პირობებში მუშაობენ ეს კომისიები და მათი მუშაობის ნაყოფი, საჭიროდ მიგვაჩნია გავაცნოთ მათ მოკლეთ „ათი კომიტეტის“ შესანიშნავი მოხსენება საშუალო სკოლის ორგანიზაციის შესახებ.

1891 წელს ასოციაციის ყრილობაზედ დ. ბეკერმა,

საშუალო სასწავლებლის დირექტორმა, ქალაქ დენვერში (კოლორადოს შტატში) წაიკითხა მოხსენება სამეცადინო საგნების შემადგენლობაზე საშუალო სკოლაში. მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. ეს გაბაკვირველიც არ არის, რადგანაც ბეკერი ეკუთვნის ერთად-ერთ გამოჩენილ და ნიჭიერ პედაგოგს. ასოციაციამ გადასწყვიტა ყრილობის მოხდენა უნივერსიტეტების და საშუალო სკოლების წარმომადგენლებისა, რათა ყოველ მხრივ განეხილათ ის საკითხები, რომელიც აღძრა ბეკერმა თავის მოხსენებაში. კრებას ბევრი პროფესორი და მასწავლებელი დაესწრო. კრებამ გადასწყვიტა ამორჩევა ათ გამოჩენილ პედაგოგისაგან შემდგარ კომიტეტისა და დაავალა მას, მიმდინარე სასწავლო წლის განმავალობაში (1892 1893) ყოველ მხრივ განიხილოს საკითხი საშუალო სკოლის სასწავლო საქმის ორგანიზაციის შესახებ და წარუდგინოს ასოციაციას თავისი მოხსენება.

საგნები, რომლებიც შედიოდნენ საშუალო სკოლის კურსში, დაჰყვეს 9 ჯგუფათ; თითო ამისთანა ჯგუფი ვადასცეს განსაკუთრებულ კომისიას.

ამ კომისიების არჩევა ასოციაციამ დაავალა „ათ კომიტეტი“-ს წევრებს. რადგანაც წევრები არჩეულნი იყვნენ ამერიკის შეერთებულ შტატების სხვა და სხვა კუთხიდან, ამიტომ ნაციონალურმა ასოციაციამ გადასდო ამის სახარჯოთ 2500 დოლლარი (5000 მანეთი).

1894 წლის დასაწყისში მუშაობა დასრულდა და დაიბეჭდა „ათი კომიტეტი“-ს შესანიშნავი ანგარიში, რომელმაც შეჰქმნა მთელი ეპოქა ამერიკის საშუალო განათლების ისტორიაში.

ამ ოქმის დაბეჭვდა იკისრა ამერიკის სახალხო განათლების ფედერალურმა დეპარტამენტებმა, ამავე დეპარტა-

მენტის დირექტორის თხოვნით. ეს ფაქტი კიდევ ნათლად გვიჩვენებს მჭიდრო კავშირს მასწავლებელთა ორგანიზაციების, სხვა და სხვა ოფიციალურ პირთა და ამერიკის დიდებულ დემოკრატიის დაწესებულებათა შორის.

ნაციონალურ პედაგოგიურ ასოციაციის გარდა, ამერიკაში არსებობენ აგრეთვე მრავალი ანალოგიური მასწავლებელთა ორგანიზაციები, რომლებიც აკავშირებენ რამდენიმე შტატს; ამას გარდა ეს ორგანიზაციები ყველა პედაგოგებს კი არ აკავშირებენ, არამედ მხოლოდ ერთ რამდენიმე სპეციალურ საგნისას. ამერიკის პედაგოგიკის განსაკუთრებას შეადგენს არა პედაგოგების შეკავშირება, არამედ სხვა და სხვა მასწავლებლების შეკავშირება.

ყველა ზემო ნათქვამიდან ცხადია, რამდენად ძლიერია ამერიკის პედაგოგების მისწრაფება ერთობისაკენ, თავიანთ ძალების ორგანიზაციებისაკენ, რამდენად გაუსწრეს ამათ ევროპის სხვა სახელმწიფოების კოლლეგებს. ჩვენ აქ ვერ შეგვიძლიან დავანახოთ მკითხველებს, თუ რა ცოცხალი და მრავალ ფეროვანი ხასიათი აქვთ ყრილობას და კრებას ამერიკაში. დავკმაყოფილდეთ მხოლოდ იმით, რასაც ქვევით ვიტყვი, რაც თავდებია ამერიკის პედაგოგების ნიჭისა და ყრილობის გამართველების მოხერხებულობისა, რომლებიც თავიანთ მიერ შედგენილ ყრილობის პროგრამებით იზიდავენ ათასობით მასწავლებელს. თვით მთელის წლის ჯაფისაგან დაღალულ-დაქანცულ მასწავლებელს ავიწყდება თავისი დაღლილობა და გასაოცარის ენერგიით მიისწრაფის ყრილობისაკენ.

ერთი ამერიკის პედაგოგის აღრიცხვიდან სჩანს, რომ არიან ამერიკაში მასწავლებელთა ორგანიზაციების იმისთანა ყრილობები, რომლებსაც ესწრობა 2000 წევრი,

მასწავლებელთა ორგანიზაციების სექციურ კრებებს 5000 წევრი.

რუსი ადამიანი ეჭვით შემომხედავს და არც კი დაიჯერებს, როდესაც მოვახსენებ, რომ ნაციონალურ ასოციაციის ყრილობას ესწრობოდა ხოლმე 11,000 წევრი.

ეს მით უფრო გასაკვირველია, რომ ნაციონალურ ასოციაციის ყრილობა იმართება მუდამ მკათათვეში, სწორეთ მაშინ, როდესაც სიცხის ბუღი ასდის მთელ ამერიკას. აქ კომმენტარიები საჭირო არ არის; კომენტარიები მხოლოდ შეასუსტებენ შთაბეჭდილებას. თვით ციფრები ღაღადებენ სიმართლეს.

VII

გავლენა მასწავლებელთა ორგანიზაციებისა კერძო შტატების სასკოლო სჯულმდებლობის მიმართულებაზედ.

აქამდის ჩვენ ვლაპარაკობდით მხოლოდ ამერიკის მასწავლებელთა ორგანიზაციების სტრუქტურაზედ და ზერელეთ შევეხეთ მათ მიზნებს და მათ გავლენას მასწავლებლების და მთელი სასკოლო საქმის მდგომარეობაზედ. ეხლა გვინდა უფრო მეტი ხანი შევჩერდეთ ამ კითხვების გამორკვევაზედ. ჩვენ გვინდა აგრეთვე მოვიყვანოთ რამდენიმე ფაქტი, რომლებიც გვიჩვენებენ მასწავლებელთა ორგანიზაციების გავლენას საზოგადოებრივ აზრზედ და მეტადრე კერძო შტატების სჯულმდებლობითს კრებებზედ, რომლებიც ჰქმნიან შტატის სკოლის კოდექსების საძირკველს. მაგრამ ვიდრე ამ თავის უმთავრეს მიზანთან გადავიდოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე სიტყვა ესთქვათ შეერთებულ შტატების აღმსრულებელ და სჯულ-

მდებელ ძალების საერთო ორგანიზაციაზედ, რადგანაც მასწავლებელთა საზოგადოების მოქმედება განისაზღვრება ამ ორი ძალის და მათი ურთიერთი დამოკიდებულების ბასიათით.

უპირველეს ყოვლისა ვიტყვით, რომ ამერიკაში საკითხების უმთავრესი გადამწყვეტი არის საზოგადოებრივი აზრი, ანუ ხალხის ნება. ამიტომ, ყოველი ძალა სცდილობს ამ ნებას ანგარიში გაუწიოს, თუ აშკარაა, რომ ნება მალე არ შეიცვლება. ეს არის საერთო პრინციპი ამერიკის საზოგადოებრივ ცხოვრებისა.

ეს, უბრალოდ რომ ვსთქვათ, ის სოციალური ატმოსფერაა, რომელშიაც უხდებათ ცხოვრება და მოქმედება არა მარტო ყოველნაირ ძალებს, არამედ ყოველნაირ კერძო ორგანიზაციებს და, თუ გნებავთ, ყველა კერძო პირთ ამერიკაში.

საჭიროა დაუმატოთ, რომ როგორც მთავრობის ფედერალურ სისტემაში, ისევე კერძო შტატების მთავრობის სისტემაში ნათელია დამოუკიდებლობის პრინციპი აღმასრულებელი და საკანონმდებლო ძალებისა. შეერთებულ შტატების პრეზიდენტი თვითონ არჩევს მინისტრებს და ეს მინისტრები მას ემორჩილებიან. ისინი ჰმართავენ მთელს მხარეს პრეზიდენტის ხელმძღვანელობის ქვეშ და მისი ჩვენებით. ამ რიგათ უმაღლესი აღმსრულებელი ძალა სრულიად დამოუკიდებელია. მეორე მხრივ მინისტრები არამც თუ ხელმძღვანელობენ ამერიკის კონგრესის სჯულმდებლობითი მოქმედებით, როგორც ამას ინგლისის მინისტრები სჩადიან პარლამენტში, არამედ სრულიად არა აქვთ უფლება კონგრესში გამოსვლისა საკანონმდებლო პროექტებით. საკანონმდებლო ძალას კარგათ ესმის თავის მხარეს საკანონმდებლო გაჭირვება და მინისტრე-

ბის დაუხმარებლად შესძლებს ამის დაკმაყოფილებას. ამისთვის კონგრესს ჰყავს მუდმივი კომისიები, რომლებიც შეეფერებიან სახელმწიფოებრივ მმართველობას. მინისტრები მოვალენი არიან მიაწოდონ ამ კომისიებს საჭირო ცნობები, რომლებითაც კომისიები სარგებლობენ როგორც მასალით სხვა და სხვა კანონპროექტებისათვის.

იგივე მართალია კერძო შტატების შესახებაც. როგორც შეერთებულის შტატების პრეზიდენტს ამერიკის ყველა მოქალაქე არჩევს, ისევე შტატის გუბერნატორებს უფლებები მხოლოდ ხალხის მიერ ეძლევათ. გუბერნატორი თავის ნებით ნიშნავს პირებს, სხვა და სხვა კერძო დარგის მმართველებათ შტატში. ამ უფროსებს არავითარი უფლება არა აქვთ რაიმე კანონპროექტების შეტანისა შტატის საკანონმდებლო კრებებზედ. სახელმწიფოებრივ მმართველობის სისტემას ამერიკაში როგორც დადებითი მხარე აქვს, ისე უარყოფითი. მაგალითებრ: საზოგადო და სხვა ორგანიზაციები სცდილობენ იქონიონ გავლენა სჯულმდებლებზედ სხვა და სხვა არა შესაფერისი ღონისძიებებით, მეტადრე მაშინ, როდესაც ამისთანა გავლენის საბოლოვო მიზანი დაფარულია. აქ სამარცხვინო არა არის რა, რადგანაც თვითონ მინისტრები ხშირად მიმართავენ ხოლმე ამ გვარ ხერხს, როდესაც რაიმე ახალი კანონის გამოცემა სწადიანთ. ასევე იქცევიან მასწავლებელთა ორგანიზაციები, როცა საჭიროდ მიაჩნიათ ძველი კანონის შეცვლა ან მისი გაუქმება.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ამერიკაში სახალხო განათლების საქმე მთლად კერძო შტატების ხელშია. ფედერალურ მთავრობას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს სკოლის საქმის და სახალხო განათლების დაყენებასთან რესპუბლიკაში. ამიტომაც არის, რომ მასწავლებელთა ორ-

განიზაციებში. რომლებიც აერთებენ კერძო შტატების მასწავლებლებს, ხშირად შეხვდებით ყოვლის მხრივ მოფიქრებულ და სისტემატიურ ფორმებს გავლენისას საკანონმდებლო კრებებზედ. მართლაც და თითქმის ყველა მასწავლებელთა ორგანიზაციებში შევხვდებით მუდმივ კომისიებს სკოლის საკანონმდებლო საჭიროებისათვის. სადაც ამისთანა მუდმივი კომისიები არ არის, იქ საქმეს აბარებენ დროებით კომისიებს.

ამ კომისიების მიზანი სხვა და სხვა შტატებში სხვა და სხვა ნაირად განისაზღვრება. აი ერთი მაგალითი: „გამოირკვიონ რაში გამოიხატება შტატის სკოლის გაჭირვება და ხელი შეუწყონ შტატის სჯულმდებლებს მათ დასაკმაყოფილებლად“. მეორე შტატში შემდეგ ნაირად განმარტავენ მასწავლებელთა ასოციაციის საკანონმდებლო კომისიების მიზნებს: „კომისია მოვალეა გაზეთის ან სხვა რაიმე ღონისძიების საშუალებით აცნობოს ყოველ ჟამს მცხოვრებთ სკოლის გაჭირვება, მეტადრე შტატის სჯულმდებლებს“.

როგორც ხედავს მკითხველი, აქ საზოგადოებრივი კარგი აზრის შექმნაა საჭირო, როგორც უმთავრესი გზისა მიზნის მისაღწევათ.

ნუ იფიქრებთ კი, რომ ეს კომისიები კმაყოფილდებიან მხოლოდ რეზოლიუციებით რაიმე რეფორმის მისაღწევათ და ამაში გამოიხატება იმათი მუშაობა. არა, ხშირად ამისთანა რეზოლიუციები სერიოზულ და მუყაით მეცადინეობის და გამოკვლევების შედეგია.

რადგანაც ამისთანა გამოკვლევანი ფულს თხოულობენ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მათი დაბეჭდვა, ამიტომ არა თუ იმ შტატის მასწავლებელთა ასოციაციები სცდილობენ იმოქმედონ სასწავლო საქმის და შტატის

სხვა ძალებზედ, რათა მათ მიიღონ თავიანთ თავზედ ამ გვარ გამოკვლევებისათვის საჭირო ორგანიზაციის მოწყობა. ზოგიერთა შტატებში მასწავლებელთა ორგანიზაციებს ისე კარგათ მიჰყავთ საქმე, რომ საკანონმდებლო კომისიები კისრულობენ სკოლის განაჩენების ტექსტის დამზადებას, რაშიაც დახმარებას უწევენ განთქმული ვექილები.

ჩვენ უკვე ნათქვამი გვაქვს, რომ კერძო შტატების ზოგიერთა მასწავლებელთა ორგანიზაციებში არსებობენ ეგრეთ წოდებულნი პედაგოგიური კრებები, რომელნიც შესდგებიან გამოცდილ წევრებისაგან და ცოტად თუ ბევრათ ღირს-შესანიშნავ პედაგოგიურ საზოგადოებათაგან და შტატის ორგანიზაციისაგან. საკანონმდებლო კომისიის მიერ შემუშავებულ სკოლის რეფორმისათვის საჭირო რეზოლიუციას ამტკიცებენ ეს პედაგოგიური კრებები. თუ საკითხი დიდმნიშვნელოვანია და შტატის ყველა მასწავლებელს ეხება, მაშინ ამ პედაგოგიურ კრების მიერ მოწონებულ პროექტს წარუდგენენ ხოლმე შტატის მასწავლებელთა ორგანიზაციის წევრების რეფერენდუმს.

ახლა გავეცნოთ ამგვარ საქმის მიმდინარეობას უფრო ღრცლად.

ვთქვათ, შტატის მასწავლებელთა ორგანიზაციის განზრახულ სასკოლო საქმის რეფორმას დიდის თანაგრძნობით უცქერის წევრების მომეტებული ნაწილი. ვთქვათ ამ რეფორმამ მიიღო საჭირო ფორმულიროვკა. რა ხდება შემდეგ? 1) მიმართვა შტატის გუბერნატორის ან სახალხო განათლების დეპარტამენტისადმი; 2) საჯაროთ გამოქვეყნება ხალხის ყურადღების და თანაგრძნობის მოსახვეჭად; 3) პირდაპირი მიმართვა ამერიკის საკანონმდებლო ძალებისადმი, რაც კანონითაც და ჩვეულებითაც ნე-

ბადართულია, თუმცა არაფერი უშლით სჯულმდებლებს, რომ სრულიად უყურადღებოთ დასტოვონ.

ავიღოთ პირველი ფორმა.

თუმცა შტატის გუბერნატორს არავითარი სჯულმდებლობითი ინიციატივის უფლება არა აქვს, მაგრამ როგორც ხალხის მიერ არჩეულს, მას ნება აქვს მიაქციოს მცხოვრებთა ყურადღება საზოგადო გაჭირვებას, რომლის დასაკმაყოფილებლად საჭიროა შესაფერ ახალი კანონების გამოცემა ან ძველების შეცვლა.

რაც შეეხება მეორე ფორმას, საჭიროა ვიცოდეთ, რომ ამ გვარი მიმართვა მხოლოდ მაშინ ხდება ხოლმე, როდესაც განწყობილება შტატის მასწავლებელთა ორგანიზაციისა და სასკოლო ძალების შუა მთლად მეგობრული და ნდობით აღსავსეა.

ყველაზედ ხშირი კი მესამე ფორმაა, რისთვისაც ხშირად მიუმართნიათ შტატის მასწავლებელთა ორგანიზაციებს. ხშირად მომხდარა, რომ ამა თუ იმ შტატის მასწავლებელთა ასოციაციას მოუთხოვნია ადგილობრივ ორგანიზაციებისათვის, გამართონ მასწავლებელთა ადგილობრივი კრებები და ამისთანავე კრებები მოქალაქეთა, წარუდგინონ მათ სასკოლო კითხვები, რომლებიც კანონმდებლობით გადაწყვეტას თხოულობენ.

ჩვენ უკვე ნათქვამი გვაქვს, რომ მასწავლებელთა ორგანიზაციების მომეტებულ ნაწილს თავიანთი ჟურნალები აქვთ. ამ ჟურნალების საშუალებით მასწავლებელთა ორგანიზაციები დიდ აგიტაციას ეწევიან ამა თუ იმ საკანონმდებლო ღონისძიებათა შემოღებისათვის. ამავე დროს სხვა მასწავლებლები კერძო გაზეთებში სწერენ ამავე საკითხების შესახებ და ხელმძღვანელობენ თავიან-

თის პედაგოგიურის გამოცდილებით. ასევე იქცევიან მასწავლებელთა სხვა და სხვა საზოგადოებანიც.

ამ შემთხვევაში ძალიან ხშირია, როგორც მოგახსენეთ, პირდაპირი გავლენა შტატის სჯულმდებლებზედ. საერთოთ რომ ვსთქვათ, კერძო შტატების მასწავლებელთა ორგანიზაციებს ხშირათ ჰქონიათ შემთხვევა სხვა და სხვა დროს თავიანთ საკანონმდებლო კომისიების გაგზავნისა სატახტო ქალაქში მაშინ, როდესაც იქ საკანონმდებლო სესსიის ყრილობა იყო. კომისია მოვალეა ინახულოს საკანონმდებლო კრების წევრნი და აუხსნას მას შტატის მასწავლებლების გაჭირვება და სურვილები.

რამდენად სისტემატიურად ეწევიან მასწავლებელთა ორგანიზაციები თავიანთ აგიტაციას, სჩანს შემდეგიდან: ვირგინიის შტატის მასწავლებელთა ორგანიზაციის თავმჯდომარის ანგარიშში 1908—1909 წ. ვკითხულობთ: „რეზოლიუციის ცალი გაეგზავნა საკანონმდებლო პალატის კრების თვითეულ წევრს სახლში. ბევრმა კანონმდებელმა დიდი თანაგრძნობა გამოგვიცხადა და აღგვითქვა დახმარება. შემდეგ ჩვენ გაუგზავნეთ რეზოლუციები ყველა ადგილობრივ მასწავლებელთა ორგანიზაციებს და ვთხოვდით შეეტანათ რეზოლიუცია უახლოეს კრებაზედ და მის მიღების შემდეგ შეეცადნენ დაარწმუნონ ადგილობრივ ალაგების წარმომადგენელნი, რათა მათ საკანონმდებლო კრებაზედ მხარი დაუჭირონ კანონპროექტს. ამ ღონისძიებათა შემწეობით თვალსაჩინოთ იმატა პალატის წევრების რაოდენობამ, რომლებიც სავსებით იზიარებდენ ჩვენ თვალსაზრისს“.

აი როგორ სისტემატიურად, როგორ ენერგიულად მიისწრაფიან ამერიკის მასწავლებლები თავიანთ მიზნების განხორციელებისაკენ!

საჭირო არ არის იმაზედ ლაპარაკი, თუ როგორი პრინციპიალური და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მასწავლებელთა ორგანიზაციების და სკოლის ადგილობრივ ძალების მეგობრულ მუშაობას, რაც წინამორბედია კანონპროექტის გამარჯვებისა, რადგანაც კანონმდებელნი ანგარიშს უწევენ ადგილობრივ ძალების და სახალხო განათლების გამგეთა სურვილებს. ანგარიშს უწევენ სკულმდებელნი აგრეთვე მასწავლებელთა მოთხოვნილებებს და სურვილებს, ანგარიშს უწევენ მით უფრო მეტად, რამდენადაც უფრო მეგობრულად მუშაობს პედაგოგთა შტატის მთელი ოჯახი.

ნუ ვიფიქრებთ კი, რომ მასწავლებელთა ორგანიზაციების სიძლიერის და ამ ორგანიზაციების და სკოლის ძალების შუა, კარგი განწყობილების გამო ყველაფერი ისე კეთდება, როგორც ამას მასწავლებლები თხოულობენ. არა, ზემოთ ნათქვამი გამოდგება ილიუსტრაციათ მასწავლებელთა ორგანიზაციების და ამ ორგანიზაციების მიერ არჩეული სხვა და სხვა კომისიების სისტემატიურ და დაჟინებითი მოქმედებისათვის. ყოველსავე ნაბიჯს, ყველა სახალხო წარმომადგენლის მიერ საჯაროდ წარმოთქმულ სიტყვას, ყველა მათი საკანონმდებლო მოქმედების ხანას თვალს ადევნებს საზოგადოებრივი აზრი. ამერიკის მასწავლებელთა ორგანიზაციები სცდილობენ გავლენა მოახდინონ შტატთა კანონმდებლებზედ, რასაც საფუძვლად უდევს გამოარკვიონ სკოლის საჭიროება იმ პირთათვის, რომლებიც აშენებენ შტატის საკანონმდებლო შენობას და რომლებმაც არ იციან ყველა ის მრავალფეროვანი და საჭირო ფაქტები, რომლების ცოდნა არამც თუ სასურველია, არამედ საჭიროც, რათა ამა თუ იმ საკანონმდებლო გადაწყვეტილებამ სკოლის საჭიროებისამ მიაღწიოს სავსებით

თავის მიზანს. ამერიკის საზოგადოებრივი აზრი ითმენს ყველა ამას, ვიდრე საქმე ეხება კანონმდებლებისათვის საჭირო საკითხების ყოველ მხრივ გაშუქებას. მასწავლებელთა ორგანიზაციები არაფერს ფარულად არ აკეთებენ, არავისაგან მალავენ; რადგანაც მათი ინტერესები ხალხის ინტერესებს შეადგენს.

სრულიად სხვანაირად დააფასებდნენ თავიანთ გავლენას ამერიკის მასწავლებლები, თუ გაიგებდნენ, რომ ზოგიერთ ქვეყანაში დაწყებითი, საშუალო და უმაღლეს სკოლის მასწავლებლები მთელი ათწლობით ელიან ცვლილებას კანონებში, სადაც ზოგიერთა სასწავლებლების წესდებები არსებობენ 30, 40 და 50 წელიწადი; იმიტომ კი არა, რომ კარგები არიან, არამედ იმიტომ, რომ უმაღლესი ადმინისტრაცია ჯეროვანის ენერგიით არ ეკიდება საქმეს.

ამერიკაში კი ყველაფერი ელვის სისწრაფით კეთდება; ცოტაოდენი საქმის დანანება კანონმდებლების მხრივ დიდ უკმაყოფილებას იწვევს ამერიკის მასწავლებლებში, რაც საუკეთესოთ ახასიათებს არა მარტო მასწავლებლებს, არამედ ამერიკის მთელ ცხოვრებას.

VIII.

ქალაქის მასწავლებელთა ორგანიზაციების გავლენა.

წინა თავიდან აშკარად სჩანს, თუ როგორ და რა გზით სცდილობენ შტატის მასწავლებელთა ორგანიზაციები იქონიონ გავლენა შტატის საკანონმდებლო მოქმედებაზედ სკოლისათვის. ამ გვარ მოვლენას ჩვენ შევხვდებით ამერიკის ქალაქებშიც. როგორც ვიცით, ერთსა და

იმავე ქალაქში მასწავლებლები ადგენენ სხვა და სხვა პროფესიონალურ ორგანიზაციებს. ისინი ემსახურებიან იმავე მიზანს, რასაც შტატის მასწავლებელთა ორგანიზაციები. ხშირად ქალაქის და შტატის მასწავლებელთა ორგანიზაციები ერთად მოქმედობენ, როდესაც საქმე შეეხება მთელი შტატის მასწავლებლობას; უფრო ხშირად ისინი მოქმედობენ ცალკე, დამოუკიდებლად, მაშინ, როდესაც კითხვა ქალაქის სკოლებს ეხება. მაგრამ არიან იმისთანა კერძო შემთხვევებიც, რომლებითაც განირჩევა ქალაქის მასწავლებელთა ორგანიზაციების მოქმედება. ქალაქის მასწავლებელთა ორგანიზაციები მოქმედობენ უფრო გაბედვით და დაჟინებით, ვიდრე შტატის მასწავლებელთა ორგანიზაციები. ეს აიხსნება იმით, რომ ერთსა და იმავე ქალაქის მასწავლებელთა ორგანიზაციების შეთანხმება უფრო ადვილია, იმათ უფრო მაგარი და მუდმივი კავშირი აქვთ ადგილობრივ პრესასთან. დიდი ხნის სამსახური მეტ გამოცდილებას, ავტორიტეტს და გამბედაობას აძლევს მასწავლებლებს. რამდენადაც დიდია ქალაქი, იმდენად მეტად არის დაფასებული მასწავლებელთა შრომა; ეს აიხსნება არა მარტო სიძვირით, არამედ იმითაც, რომ ქალაქის მასწავლებელთა ორგანიზაციებს მეტი სახსარი აქვთ გავლენისა ქალაქის ყველა ძალებზედ, აგრეთვე შტატისებზედაც. მეტი არ იქნება აღვნიშნოთ ისიც, რომ დიდი ქალაქების მასწავლებელთა ორგანიზაციების მედგარი მეცადინეობა თავიანთ მატერიალურ და უფლებრივ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მაგალითს აძლევს შტატის მასწავლებლობას ერთსულოვან მუშაობისას.

თუმცა განწყობილება მასწავლებლებისა და ადგილობრივ ძალებისა კარგია, მაგრამ ამის მიუხედავათ ეს ძალები ხან და ხან თანაგრძნობით არ უცქერიან მასწავ-

ლებელთა ორგანიზაციების აგრესიულს ფორმებს, რადგანაც არც ამერიკის ძალები არიან მოკლებულნი იმ აზრს, რომ უფროსებს უფრო კარგათ ესმით ყველაფერი. რუსი ადამიანისათვის ძნელი წარმოსადგენია, თუ რა თანხმობით და მეგობრულად მუშაობენ და მოქმედობენ ამერიკელები. მასწავლებელთა სხვა და სხვა აგიტაციურ მოძრაობის ისტორიაში შეხვდებით ორი ან სამი ქალაქის შეერთებულ მუშაობას რაიმე მიზნის მისაღწევათ.

რითი ხელმძღვანელობენ ქალაქის მასწავლებელთა ორგანიზაციები, როდესაც ადგენენ სხვა და სხვა საზოგადოებებს? ან რა შედეგი აქვს ქალაქის მასწავლებლების ერთად მუშაობას? პირველი კითხვის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ საკითხი ჯამაგირების მომატებისა ან მეტადრე პენსიის შესახებ ხშირად ამოძრავებს მასწავლებლებს. თუმცა, შეიძლება მიგითითოთ იმ აგიტაციებზედ, რომლებსაც სახელში ჰქონდათ სავალდებულო განათლების კანონის შეცვლა, უფასო საუზმეები მოწაფესათვის და სხვა.

რაც შეეხება ქალაქის მასწავლებელთა ორგანიზაციების ფაქტიურ გავლენას საკანონმდებლო ან იმ ნორმების განვითარებაზედ, რომლებიც აწესრიგებენ სასკოლო საქმეს ქალაქებში, ამის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ეს გავლენა მნიშვნელოვანია.

ამერიკის დიდ ქალაქების მასწავლებელთა ორგანიზაციების მატიანეში შეხვდებით მაგალითებს, როდესაც მასწავლებელთა სურვილებს წინ ეღობებოდა ქალაქის მამების სრული გულცივობა, თვით ადგილობრივ სკოლების ძალებისაც კი. ასე მოხდა მაგალითებრ ამ საუკუნის დასაწყისში ნიუ-იორკში; მასწავლებელთა მეგობრულმა და დაჟინებითმა მუშაობამ დაიმსახურა საზოგადოებრივი აზრის იმისთანა ყურადღება და თანაგრძნობა, რომ მათ

წინაშე ქედი მოიხარეს ყველა ძალებმა და მასწავლებლებმაც დიდებულად იდღესასწაულეს თავიანთი გამარჯვება.

IX.

მასწავლებელთა ორგანიზაციები და საკითხი მედგოგიური მატერიალურ და უფლებრივ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

ყველაზედ მეტად მასწავლებლებს აინტერესებს თავიანთი მატერიალური მდგომარეობის საკითხი. შემდეგ მისდევს საკითხი მათი უფლებრივ მდგომარეობისა, ე. ი. რამდენად მაგრა აქვთ თავიანთ ადგილზედ ფეხი მოკიდებული და სხვა. რადგანაც ეს საკითხები, როგორც პრინციპიალურის, ისე პრაკტიკულის მხრითაც ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომ ნებას მივსცემთ ჩვენს თავს და მოგიყვანთ რამდენსამე ფაქტს, რომლებიც ახასიათებენ ამერიკის მასწავლებლების მათთან განწყობილებას. კარგა ხანს ნაციონალური პედაგოგიური ასოციაცია ყურადღებას არ აქცევდა მასწავლებლების მატერიალურად უზრუნველყოფის საკითხს და არჩევდა იმისთანა საკითხებს, როგორც სკოლის მოწყობა და სხვა აკადემიური პედაგოგიური პრობლემები. იგივე შეიძლება ითქვას ამერიკის მასწავლებლების სხვა ორგანიზაციებზედაც.

მაგრამ, როდესაც სიძვირემ თავი იჩინა შეერთებულ შტატებში, როდესაც ყველა სცდილობდა, ცხოვრების გაუმჯობესობას, მაშინ ნაციონალურმა ასოციაციამაც ხმა ამოიღო და დანიშნა განსაკუთრებული კომისიები მასწავლებლების მატერიალურ და უფლებრივ მდგომარეობის გამოსარკვევად. ეს მოხდა 1903 წელს. ორი წლის მუშაო-

ბის შემდეგ, ე. ი. 1905 წელს, ასოციაციას წარუდგინა კომისიამ თავისი მოხსენება. ამ მოხსენებამ მთელი ეპოქა შეჰქმნა, რადგანაც შიგ მოყვანილმა საბუთებმა ყოველ მხრივ გააშუქეს მასწავლებლების მდგომარეობა. ამ მაგალითს მიჰბაძეს სხვა და სხვა შტატების და ქალაქების მასწავლებელთა ორგანიზაციებმაც. 1913 წელს ნაციონალური ასოციაცია კვლავ დაუბრუნდა იმავე საკითხებს და გამოაქვეყნა თავისი ნაშრომი, რომელშიაც არკვევდა ამერიკის მასწავლებლების ნივთიერ მდგომარეობას. შესანიშნავია, რომ გასული წლის დამლევს, იმავე ასოციაციამ სახალხო განათლების ფედერალურ დეპარტამენტის დახმარებით სტატისტიკურად გამოიკვლია იგივე ძირითადი საკითხი. ეს გამოკვლევა შეეხებოდა ყველა სასწავლებლებს, თვით კოლლეჯებს და უნივერსიტეტებსაც კი. სხვა ქვეყნებში ამისთანა არა გაკეთებულა რა. კერძო შტატების მასწავლებელთა ორგანიზაციებმა მხოლოდ ეხლა ამოიღეს ხმა და დიდ აგიტაციას ეწევიან მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის. ამასთან საჭიროა ვიცოდეთ, რომ ეს ასოციაციები ხმარობენ ყველა იმ ხერხებს, რომლებიც ზემოთ აღნიშნული გვქონდა. მომეტებულ შემთხვევაში ამ აგიტაციას ქალაქები ეწევიან. აღსანიშნავია, რომ იყვნენ მასწავლებლებში იმისთანები, რომლებიც გამოსთქვამდნენ სინანულს მასწავლებლების მიერ დიდ აგიტაციის გაწევის გამო თავიანთ ნივთიერ ინტერესების დასაცავად.

ამერიკულ პედაგოგიურ ჟურნალებში ხშირად ამოიკითხავთ შემდეგს: „სასურველია, რომ კითხვები მასწავლებლების ჯამაგირების მომატების, მათი მდგომარეობის გაუმჯობესობისა წამოაყენონ მასწავლებლებმა კი არა. არამედ განათლებულმა მოქალაქეებმა, რომლებიც პირა-

დათ დაინტერესებულნი არ არიან სკოლის საქმით. მასწავ-ლებლები კი უნდა ემსახურებოდნენ თავიანთ წმინდა იდეალებს. მთელ ძალ-ღონეს უნდა ანდომებდნენ პედა-გოგიურ პრობლების გამორკვევას" (Western journal of Edication 1909).

ამერიკის მასწავლებელთა უმრავლესობას ეს კარგათ ესმის და როდესაც ისინი ლაპარაკობენ თავიანთ მატე-რიალურ მდგომარეობის გაუმჯობესობაზედ, თან დასძე-ნენ, რომ ეს საჭიროა არა მარტო მასწავლებლების კეთილ-დღეობისათვის, არამედ სკოლისათვისაც სასარგებლოა.

სულ სხვა ელფერი მოეცემა მასწავლებელთა ამ აგიტაციას, თუ გვეცოდინება, რომ ამერიკაში საკითხი მასწავლებელთა პენსიების შესახებ კარგა ხანი გადაუწყვე-ტილი იყო. ეხლაც ყველგან კი არ შეუძლიანთ მასწავ-ლებლებს ამერიკაში კარგა ხნის სამსახურის შემდეგ პენ-სიის მიღება. ეს რუს პედაგოგებისათვის გასაოცარი ამ-ბავი აიხსნება იმითი, რომ ამერიკაში ძალიან გავრცე-ლებულია როგორც სიცოცხლის დაზღვევა, აგრეთვე შემოსავლისა. მხოლოდ ამ ბოლო ხანებში დიდ ქალაქებ-ში, თვითონ ქალაქის სამმართველოებმა მიიღეს თავიანთ თავზედ მასწავლებლების პენსიების დანიშვნა.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივი სასკოლო ძალები ირჩევენ მასწავლებლებს მხოლოდ ერთის წლით. წლის დამლევს კონტრაკტს (პირობას) განაახლებენ თუ მასწავლებელი მოსწონთ, თუ არა და, სრული უფლება აქვთ გადააყენონ სამსახურიდან, როგორც მასწავლებელი, ისე თვით დაწყებითი სკოლის უფროსიც. მასწავლებლის ამისთანა მდგომარეობა ცოტა არ იყოს უხერხულია, მაგ-რამ აქაც საზოგადოებრივი აზრი სდგას დარაჯათ და მასწავლებლების უფლებების დამცველად. ეს ასე რომ არ

იყოს, მასწავლებლები ვერ შეურიგდებოდნენ თავიანთ არა ნორმალურ მდგომარეობას. ზოგიერთ შტატებში და ქალაქებში ეს წესი ისევ არსებობს. ზოგიერთ შტატებში კი დამტკიცებულია კანონი, რომლითაც მასწავლებელს ორი ან სამი წლის სამსახურის შემდეგ დაამტკიცებენ უვადოდ. ამისთანა მასწავლებლის სამსახურიდან გადაყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი მუყაითად ვერ მოეკიდება საქმეს, ან იმისთანა საქციელს ჩაიდენს, რომელიც ჩირქს მოსცხებს მის პატიოსნებას და სახელს.

ეს კანონი შევიდა ძალაში 1909 წლის აპრილში.

დიდი ბრძოლა დასჭირდათ მასწავლებლებს, ვიდრე დაუმტკიცებდნენ სკოლის საკანონმდებლო ძალებს ან საზოგადოებრივ აზრს წლიურ კონტრაქტის მავნებლობას. მთელი სამი წელიწადი იბრძოლეს მასწავლებლებმა, ვიდრე გამარჯვებულები არ გამოვიდნენ ამ ბრძოლიდან. ეს კანონი ყველა შტატში არ არის შემოღებული. ხშირად ამ შტატების სასკოლო კომიტეტებს მიუთითებენ ხოლმე ევროპაზედ, გერმანიაზედ და საფრანგეთზედ, სადაც რამდენიმე წლის გამოცდის შემდეგ მასწავლებლებს ამტკიცებენ თავიანთ თანამდებობაზედ და იქამდინ მსახურებენ, ვიდრე ძალ-ღონე შესწევთ. ამაზედ სასკოლო კომიტეტები უპასუხებენ, რომ იმ სახელმწიფოებში სკოლის ადმინისტრაცია ერთ სამინისტროს ხელშია და რომ რაიმე დანაშაულისათვის შეუძლიანთ მასწავლებელი გადაიყვანონ ქალაქიდან რომელსამე ყრუ ადგილში.

ჩვენ აქ ვერ შეუდგებით ამ თვალსაზრისის გარჩევას, ჩვენ შეგვიძლიან მხოლოდ აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ საზოგადოების სკოლების მასწავლებლების უმრავლესობას ქალები შეადგენენ, რომლებიც გათხოვდებიან

თუ არა, მაშინვე ანებებენ თავს სამსახურს. კაცებიც ხშირად სტოვებენ მასწავლებლობას, თუ უფრო ხელსაყრელი სამსახური იშოვეს. რასაკვირველია, ყველა ეს ჰქმნის ამერიკის მასწავლებლებში იმისთანა უარყოფით მხარეებს, რაც გასაკიცი და დასაგმობია.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, რომ საზოგადოების სკოლების (დაწყებითის და საშუალოსი) მასწავლებელთა რაოდენობა უდრის ნახევარ მილიონს. ყრილობებში მონაწილეობას იღებს არა ნაკლებ $^1/_4$ მილიონისა.

აქედან ცხადია, რომ ორი მასწავლებლიდან ერთი მაინც ესწრება ყრილობას.

ყველა ზემო ნათქვამიდან ცხადია, რომ ამერიკის მასწავლებლობა დიდად დაინტერესებულია სწავლა-აღზრდის საკითხით. ცხადია ისიც, რომ ისინი გასაოცარი ენერგიით მუშაობენ პროფესიონალურ საზოგადოებების ორგანიზაციების საქმეში. ერთის სიტყვით, ამერიკის დემოკრატიას სრული უფლება აქვს იამაყოს თავისი მასწავლებლებით. საზოგადოება მართლაც დიდის ნდობით და პატივისცემით უცქერის მასწავლებლებს და მზათ არის როდესაც კი საჭიროება მოითხოვს ხელი გაუწოდოს მათ და წააქეზოს მათი მისწრაფებანი.

ამ მოკლე ხანში ნაციონალურმა პედაგოგიურმა ასოციაციამ მიმართა ამერიკის საზოგადოებას თხოვნით, რათა მან არ დაიშუროს ერთი მილიონი დოლლარი (ორი მილიონი მანეთი) იმ პედაგოგიურ ღონისძიებებისთვის, რომლებიც საჭიროა, რომ ამერიკის საზოგადოება და ამერიკის პედაგოგები გაეცვნენ მთელ კაცობრიობის სკოლის ცდების შედეგებს.

ნუ დავივიწყებთ, რომ ამ ასოციაციას სათავეში უდგანან იმისთანა გამოჩენილი პედაგოგები, რომლებსაც

კარგათ აქვთ გათვალისწინებული არის მოთხოვა შეიძლება და რისა არა ამერიკის საზოგადოებისაგან.

ამერიკის ნაციონალურმა პედაგოგიურმა ასოციაციამ კარგათ იცის, რომ ეს მათი თხოვნა უშედეგოთ არ დარჩება და სულ მოკლე ხანში მიიღებს სასურველ თანხას.

რომელ სახელმწიფოში შეუძლიანთ მიმართონ მასწავლებლებმა საზოგადოებას თხოვნით, რათა მათ შესწირონ განძრახულ პედაგოგიურ შრომებს და გამოკვლევებს მილიონი?

17 ოქტომბერი 1916 წ.

25

~~ფასი 25 შაბალთი.~~

წიგნი იყიდება წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.